

# ზიკოვები

სცენები

მოკმედი პირნი

ზიკოვეი ანტიპა ივანიჩი — ტყისმწარმოებელი.

სოფია — მისი და, ქვრივი.

მიხეილი — შვილი.

ცელოვანიევა ანა მარკოვნა — მდაბიო ქალი.

პავლა — მისი ქალიშვილი.

მურატოვი — მეტყუევე.

ხევერნი — ზიკოვის კომპანიონი.

შოხინი.

ტარაკანოვი.

სტეპკა — მოზარდი გოგონა.

პელაგია.

## მოქმედება პირველი

ცელოვანივეების არც ისე მდიდრული, მეშჩანური სახლის ოთახის შუაგულში გამზადებულია მაგიდა ჩაისათვის. სამზარეულოსა და ანა მარკოვნას ოთახის კარებს შუა კედელთან, მეორე მაგიდა დგას ღვინით და საუნჯით. მარჯვნივ კედელთან პატარა ფისგარმონიაა, რომელზედაც დგას ფორტოები ჩარჩოებში და ორი ვაზა გამხმარი ყვავილებით. კედელზე უამრავი ღია ბარათებია და აკვარელით ნახატი პაელებს გამოსახულებით მონაზვნის ტანსაცმელში. ორი ფანჯარა გადის პატარა ბაღში ქუჩისაკენ. ცელოვანივევა, სუფთა ფუნჩულა ქალია, ორმოც წელს გადაცილებული, ჩაის მაგიდასთან ზის, სავარძლობლად აღელვებულია. ხშირად იყურება ფანჯრებში. ყურს უგდებს, ადვილს უაზროდ უნაცვლებს ფინჯნებს. სოფია ჩაფიქრებული დადის ოთახში. კბილებში ჩამქრალი პაპიროსი გაუჩრია.

ცელოვანივევა — (ამოხენეშა). გაუტკბათ სეირნობა.

სოფია — ჰო...

ცელოვანივევა — ერთი მითხარი, სოფია ივანოვნა, რატომ არ თხოვდები?

სოფია — ადამიანი ვერ ვნახე, რომ გულს მიეკაროს. გამოჩნდება — გავთხოვდები.

ცელოვანივევა — ჩვენს მიყრუებულ ადგილებში — ცოტა საინტერესო მამაკაცები...

სოფია — საინტერესოს კიდევ მოძებნიდა ადამიანი, სერიოზულს ხელს ძნელად შეხვდები.

ცელოვანივევა — თქვენ თითონ, მაპატიეთ და, სერიოზულს ხასიათი გაქვთ. თითქმის — მამაკაცური. ჩემ მამაკაცს უნდა გაპყეოთ...

სოფია — (უბულოდ) მერე რა საჭიროა ის ჩემი? თავგები დარჩიროს? (ცელოვანივევა საქციელწამხდარი იღიმება, ეტობა, ამ ქალთან უხერხულად გრძნობს თავს, არ იცის რაზე ესაუბროს).

სოფია — (შუბლი შეიკრა, ხელები ზურგს უკან წაიღო). მითხარით, ვინ გაავრცელა ხმა, რომ პაშა მოსულელა?

ცელოვანივევა — (აჩქარებულად, ხმადაბლა, მიიხედ-მოიხედავს) ეს სულ ცხონებულმა ჩემმა ქმარმა... ჰოდა, მეც წავეხმარე, რომ ყურადღება არ მიექცია ხალხს. პაშენკა ყოველთვის პირდაპირი ქალი იყო... რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს. აბა, ეს ვის მოეწონება? ჰოდა... მას, ჩემ ქმარს, ეჭვი ჰქონდა, რომ პაშა მისი ქალიშვილი არ იყო...

სოფია — ნუთუ?

ცელოვანივევა — როგორ არა. ეს ხომ ყველასათვის ცნობილია. გადაკრულში რომ იყო ხოლმე, ყველგან ყვიროდა, ეჭვიანობდა ჩემზე... ერთი სექტანტი იყო აქ...

სოფია — შოხინის მამა?

ცელოვანივევა — აი, თქვენც გცოდნიათ.

სოფია — თქვენთან კავშირის გამო კი არა, ისე გამიგია. ვიცი, რომ სექტანტი დევნილი კაცი.

ცელოვანივევა — (ამოხენეშით). ვითომდა ისე იცით. (ჩუბად) დევნილი (უცბად შეხედა სოფიას) განსვენებული...

სოფია — შოხინი?

ცელოვანივევა — ჩემი ქმარი... ხშირად უყურებდა, უყურებდა პაშას და უცებ აბღავლდებოდა — არაა ჩემი შვილიო, საზიხლარი ადამიანი ვარო. შენ — ეს მე — იცოდე, სულელო დედაკაცო, რომ ეს არ არის ჩემი ქალიშვილი.

სოფია — ალბათ იპრანჭებოდა კიდევაც, არა?

ცელოვანივევა — ღმერთმა უწყის...

სოფია — გცემდათ?

ცელოვანივევა — უი, მერე და როგორ! მე — რა, პაშას შიში მქონდა. როგორღაც მოვახერხე და მონასტერში დავმალე. მე ხომ მაგის მეტი არავინა მყავს...

პელაგია — (სამზარეულოს კარებიდან). მოდიან.

ცელოვანივევა — უი, შე ქაჯო, რა შეგვაშინე, მტრები ხომ არ მოდიან, რა გინდა?

პელაგია — სამოვარი შემოვიტანო?

ცელოვანივევა — გეტყვიან, როცა საჭირო იქნება. გასწი

მიხელი — (ცოტათი ნასვამია და სიცხისაგან მოთენთილი. უწვევრულაშო სახეზე დაღლილი ღიმილი გადაჰრავს). დედაკაცო, რას გეჩხირე კარებში? გასწი აქედან! (უჩქვეტს, პელაგია შეჰყვირებს. მიხელი აქლოშინე-

ბული იცინის. ცელოვანიევას ეწყინა, ტუჩები მოკუმბა, სოფია ფისგარმონიას თანაა, მოღუშული უყურებს ძმისშვილს).

მ ი ხ ე ი ლ ი — (ძიღის წაგდისკენ) ცხელა, დედობილო!

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — (ბუტბუტებს) აბა ერთი კიდევ... სადაური დედობილი ვარ? (ხმაშალა) პელაგია მოისულელებს...

მ ი ხ ე ი ლ ი — ეინ?

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — ეს დედაკაცი.

მ ი ხ ე ი ლ ი — ჰო, მარტო ეგ ერთი? ამას დავიხსომებ.(ძიღის ვაშლილ მივიღასთან, რომელზედაც საუზმეა. სოფია ფისგარმონიას ბანებს უსინჯავს).

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — (შეწუხებული) რად გინდათ, რომ დაიხსომოთ?

ს ო ფ ი ა — ხუმრობს, ანა მარკოვნა.

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — ოჰ, ცუდად მესმის ხუმრობა.

პ ე ლ ა გ ი ა — (სამზარეულოდან) კაცი მოვიდა ცხენით...

ს ო ფ ი ა — ეს — შოხინია. ანა მარკოვნა, ჩემთან მოვიდა...

შ ო ხ ი ნ ი — (კარბში) შოხინი მოვიდა.

ს ო ფ ი ა — (მკაცრად) რატომ არ შეეგებე, იაკობ!

შ ო ხ ი ნ ი — (მიესალმება) არა უშავს. გამარჯობათ!

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — (მიღის ფანჯრისაკენ) ნუ გერიდებათ...

ს ო ფ ი ა — (შოხინს) აბა, რას იტყვი?

შ ო ხ ი ნ ი — მიბრძანა გადმოგცეთ, რომ წერილს მოგწერთო.

ს ო ფ ი ა — მეტი არაფერი?

შ ო ხ ი ნ ი — არაფერი.

ს ო ფ ი ა — გმადლობთ. (იწერს რაღაცას წიგნაკში, რომელიც ხარტყელზე აქვს მიმაგრებული. მიხეილა უსხამს არაყს შოხინს და ანიშნებს ანა მარკოვნაზე. შოხინი მალულად სვამს იღიმება).

მ ი ხ ე ი ლ ი — იაკობ, რატომ ხარ ყოველთვის პირქუში?

შ ო ხ ი ნ ი — ხელფასს ვიღებ ცოტას. სოფია ივანოვნა, შენთან სათქმელი მაქვს.

ს ო ფ ი ა — რა მოხდა?

შ ო ხ ი ნ ი — (უახლოვდება) გუშინ ის მეტყვევებ ეუბნებოდა ჩემს მემანქანეს, რომ ჩვენ ყველანი სამართალში ვართ მისაცემი ჩვენი მეურნეობის გამო, რომ ჩვენი მიზეზით მდინარეები შრება და მიწა იფიტება.

ს ო ფ ი ა — კარგი. წადი!..

მ ი ხ ე ი ლ ი — წადი, მონავ!

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — ის ამას მეტყვევებ ამბობდა?

ს ო ფ ი ა — ჰო.

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — მკაცრი ვაჟბატონია. ყველას ეჩხუბება, ყველას უჩივის, თითონ კი ყოველთვის გადაკრულშია. ბანქოს გარდა, სხვა გასართობი არ სწამს. უცოლოა, კარგი თანამდებობა უკავია — შეირთოს ცოლი. არ უყვართ ახლა ოჯახური ცხოვრება.

მ ი ხ ე ი ლ ი — როგორ თუ არ უყვართ? აი, მე ცოლს ვირთავ...

ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — თქვენ? როგორ არა! თქვენ მამამ გიბრძანათ!.. (უხერხულად წამოსროლილმა სიტყვამ დააბნია, რაღაცას გაუბედავად ბუტბუტებს და მიღის სამზარეულოში).

ს ო ფ ი ა — (მიხეილს) შენ ძალიან უწესოდ იტყევი.

მ ი ხ ე ი ლ ი — მართლა? აღარ მოვიტყევი ასე... მოგწონს ჩემი საცოლე?

ს ო ფ ი ა — ლამაზი ქალიშვილია, უბრალო... მიმნდობი... შენ?

მ ი ხ ე ი ლ ი — მართლა? აღარ მოვიტყევი ასე... მოგწონს ჩემი საცოლე?

ს ო ფ ი ა — შენ ამას სერიოზულად ამბობ?

მ ი ხ ე ი ლ ი — არ ვიცი, მგონი, სერიოზულად.

ს ო ფ ი ა — ჰოდა, ძალიან კარგი. იქნებ ამან ჩაგაფიქროს. დროა.

მ ი ხ ე ი ლ ი — ოო, სხვას მე არაფერს არ ვფიქრობ.

ს ო ფ ი ა — ბევრ სისულელეს სჩადიხარ, ბანქოს თამაშობ.

მ ი ხ ე ი ლ ი — რას იზამ, კაცნი ვართ! აი ჩემი საცოლეც ხომ თამაშობს? ყოველთვის თავი მოაქვს უბრალო კეთილ ადამიანად.

ს ო ფ ი ა — (გაშტერებული მისჩერებია) რას ამბობ? ის ნამდვილად მიმნდობია.

მ ი ხ ე ი ლ ი — კატაც თითქოს მიმნდობია, მაგრამ აბა ერთი მოატყუე!

ს ო ფ ი ა — რა შუაშია აქ მოტყუება?

მ ი ხ ე ი ლ ი — იცი რა, სჯობია ისევ მამაჩემმა შეირთოს. მე კი თავი დამანებონ.

ს ო ფ ი ა — რა სისულელეს ამბობ!

მ ი ხ ე ი ლ ი — (დაცხვით) სულ ერთია, ახლა არ შეირთავს, მერე წამართმევს. ის მიმნდობი ქალია.

ს ო ფ ი ა — გეყოფა! რა სისაძაგლე მოგდის მაგ თავში! (აღღაფებული სცილდება).

მ ი ხ ე ი ლ ი — (ჩუმად იცინის. ასხამს არაყს და სვამს)

წყალში ვნახე ყვავილების ჩრდილი,  
მსურდა ხელში დამეჭირა წაბით,  
მაგრამ მე იმ ყვავილების ნაცვლად  
ხელში შემრჩა ნალექი და შლამი.

სოფია — რას ნიშნავს ეს?

მიხეილი — არაფერს არ ნიშნავს, ხუმრობაა.

სოფია — ოო, მიშა, ფრთხილად, ცხოვრებას ხუმრობა არ უყვარს, (წინა ოთახიდან შემოდის ანტიპა ზიკოვი, ასე ორმოცდაათი წლის იქნება, წვერში ჭალარა გარევი, შავი წარბები აქვს, ხუჭუჭთმიანია, საფეთქლებთან მელოტი შეჰპარვია. პავლას უბრალო ცაფერი კაბა აცვია, მოლოზნის სამოსის მსგავსი, თავზე და მხრებზე ცისფერი გაზის მანდილი აქვს შემოხვეული).

პავლა — მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობ...

ანტიპა — ჰო? ვნახოთ.

პავლა — ნახავთ. სად არის დედა?

ცელოვანიევა — (სამზარეულოდან) მოვდივარ, მოვდივარ! (ანტიპა მიდის საუზმით გაშლილ მაგიდასაკენ, პავლა სოფიას ღიმილით უახლოვდება).

სოფია — დაიღალეთ?

პავლა — მცხელა! მწყურია...

სოფია — ეს კაბა თქვენ შეიკერეთ?

პავლა — მე თვითონ. მერე რა?

სოფია — გიხდებათ.

პავლა — მიყვარს, როცა ყველაფერი ხალგათად არის.

ანტიპა — (შვილს). იცოდე, ზედმეტს სვამ, შერცხევი...

მიხეილი — (სულელურად). სასიძომ თავისი თავი ყოველმხრივ უნდა გამოიჩინოს... (ანტიპა ხელს ჩაავლებს მხრებში, რაღაცას მკაცრად ეუბნება, მიხეილს გაეცინება).

სოფია — (პავლას ჩუმად). რომელი უფრო ლამაზია?

პავლა — უფროსი...

ანტიპა — (მკვხელ). ხმა! კრინტი!

სოფია — (ჩუმად) ანტიპა, რა მოგივიდა? (პავლა ეხუტება სოფიას).

ანტიპა — (საქციელწამხდარი). მაპატიეთ, პავლა ნიკოლაევნა, ეს

შენივისაა უკეთესი...

პავლა — რა?

ანტიპა — აი ეს... ეს ვაჟბატონი. (ღმუის).

ცელოვანიევა — (შემოდის ლარნაკით, რომელზედაც ღვეზელია) გთხოვთ ისაუზმოთ.

პავლა — (ანტიპას). თუ თქვენ კეთილი არ იქნებით, შეგეშინდება...

ანტიპა — (ალერსიანად უღიმის). შენ სულ სიკეთეზე ლაპარაკობ, ეხ, ჩემო ბავშუო! (რაღაცას ეუბნება ხმადაბლა).

მიხეილი — (თუმცა ნასვამია, მავრამ მიინც გრძნობს თავს ზედმეტად)

დახტილობს ოთახში. ჩაიცინებს, ჩაუელის შამიდას და ეუბნება): სული მეტუთება, ვიწროობაა, როგორც საქათმეში.

ცელოვანიევა — (ღელავს. უფალთვალეებს ყველას, მივა სოფიასთან). მობრძანდით მაგიდასთან. სთხოვეთ ყველას. თორემ მე არავინ ყურს არ მიგდებს...

სოფია — (ჩაფიქრებით). მომწონს თქვენი ქალი.

ცელოვანიევა — ოჰ, ღმერთმა ქნას! ნეტავი მიხედავდეთ, ასწავლიდეთ.

სოფია — რასაკვირველია, ჩვენი დედაკაცური საქმე მუდამ ერთია.

პავლა — მერე ხალხი?

ანტიპა — რა ხალხი?

პავლა — რას იფიქრებენ?

ანტიპა — (ანთუბული) მიმიფურთხებიან, რაც უნდათ ის იფიქრონ. ადამიანები! რითა ვარ მათგან დავალებული? მწუხარებით და შეურაცხყოფით. აი, ეს ხელი, რომლითაც მე ჩემს ცხოვრებას ვქმნიდი. ეს ჩემი ხელია და რა შესაქმემა ადამიანებთან. (დაღვეს არაყს, ხელსახოცით იშრალეხს პირს). აი, შენ, ასე ვთქვათ, ჩემი მომავალი... შვილი. სულ ამბობ — ალერსიანი უნდა იყო. მეოთხედ გხედავ და სულ ერთსა და იმავეს ამბობ. ეს იმიტომ, რომ მონასტერში ცხოვრობდი. სისპეტაკეში... აბა იცხოვრე ადამიანებთან, მაშინ სხვაგვარად ალაპარაკდები! ხანდახან გადავხედავ ხოლმე ქალაქს და სურვილი მებაღება ყოველი მხრიდან ცეცხლი წავუკიდო.

პავლა — მაშინ მეც დავიწვები...

ანტიპა — არა, შენ მე... შენ არ დაიწვები!

ცელოვანიევა — თქვენ რა, მიხეილ ანტიპიჩი, არც საუზმობთ, არც სვამთ?

მიხეილი — შამა არ მაძლევს ნებას.

ანტიპა — რაო-ო?

მიხეილი — საცოლვეც არ მიმასპინძლდება.

პავლა — (გაწითლდა, თავს ხრის). მობრძანდით! მე დავისხამთ!

მიხეილი — თქვენთვისაც...

პავლა — მე არ. მიყვარს...

მიხეილი — შე კი ძალიან მიყვარს არაყი.

პავლა — ამბობენ. მავნებელიაო...

მიხეილი — ტყუიან! არ დაიჯეროთ. იცოცხლეთ!

ანტიპა — ახლანდელი ხალხი ჯანით ცოტათი მოისუსტებს, არა, ანა მარკოვნა?

ცელოვანიევა — რატომ? ჩემი პაშენკა...

ანტიპა — მე, რასაკვირველია, პაშაზე არ მოგახსენებთ. აი თუნდაც ჩემმა შეიღმა განა რამდენი დღეა, რომ თვალეები აემღვრა, გამოთავყვანდა.

სოფია — ჩაუკვირდი შინც, რას ლაპარაკობ.

ცელოვანი ევა — (საქციელწამხდარი). თქვენი შვილი ახალგაზრდაა.

ანტიპა — (სოფიას). მე მართალს ვამბობ. ანა მარკოვნამ იცის, ძველად როგორ სვამდნენ. მისი მეუღლე კვირიდან კვირამდე ყლაპავდა. (ცელოვანი ევას) მერე რა, რომ ახალგაზრდაა. ეს არაფერს არ ნიშნავს. ეს — ახალგაზრდობა — ჩქარა გაივლის. (დაძაბული მდგომარეობა, ყველა რაღაცას ელოდება, ერთმანეთს უთვალთვალევენ. სოფია თვალს ადევნებს განსაკუთრებით ანტიპას და პავლას. მიხილი პაპიროსს ეწევა. მოვრალი თვალებით, უაზროდ უყურებს მამას. პავლა შეშინებული იხედება. ანტიპა საუბრის მაგიდასთანაა. პავლამ ჩამოიღო ჩაიდანა სამოვრიდან. დედამისიც მაგიდასთანაა. ჩურჩულევენ).

ცელოვანი ევა — პაშენკა, მეშინია...

სოფია — (მმას). ბევრს ხომ არა სვამ?

ანტიპა — (უხეშად). აბა, თავი დამანებე!

სოფია — შინც. მიხედე შენს თავს...

ანტიპა — ხელს ნუ მიშლი! ვიცი, რასაც ვაკეთებ!

სოფია — იცი კი? (თვალს თვალში გაუყრიან ერთმანეთს). რა განიზრახე?

ანტიპა — განა ეგ მაგის შესაფერია? მაგას ვერ გამოასწორებ ამ ქალს კი დავლუპავთ ტყუილად...

სოფია — (უკან იხევს). გამიგონე, ნუთუ გაბედავ?...

ანტიპა — გაჩუმდი, ნუ მალიზიანებ, უარესი იქნება!..

მიხეილი — (ჩაიციანებს). ნიშნობაა და სიხარული კი არ არის! ჩურჩულევენ...

ანტიპა — (გამოფხიზლდება). ეს სულ მამიდაშენის ბრალია. ეს სამწუხაროა, რომ ხალხი ცოტაა.

პავლა — აი, საჭირო ყოფილა თურმე ხალხი.

ანტიპა — დამიჯერე! ჯიუტი ხარ, პავლა ნიკოლაევნა... ჯიუტი! რას იზამ, ეს საჭიროცაა ქალისათვის: უნდა ჩაეჭიდო ერთ აზრს ყველას საწინააღმდეგოდ...

პავლა — ხოლო მამაკაცმა რა ქნას?

ანტიპა — მამაკაცმა? მამაკაცი თავისთვისაა. ის ველურია, შეეხები თუ არა იმის გულს, მაშინვე, როგორც დათვი, ტორებზე შედგება... იმისთვის სიციცხლე არაფერია.

ცელოვანი ევა — ნობრძანდით ჩაიხე...

ანტიპა — ახლა კარგია ცივი რამ...

მიხეილი — შამპანური მიირთვით...

ანტიპა — პირველად მესმის შენგან ჰქვიანური რჩევა. წადი, იშოვე!

მიხეილი — ახლავე... (მიდის სამზარეულოში ბორძიკით, უძახის) დედაკაცო, ლამაზო...

ანტიპა — (პავლას). ხედავ? სამჯერ მეტი დაველიე. ასეთი ვარ ყველაფერში, მეტი ვარ ყველა ადამიანზე. დიდი ვარ.

პავლა — მაშ, რისი გეშინია?

ანტიპა — (გაკვირვებული). მეშინია? როგორ თუ მეშინია?! (სოფია ცოცხლად, ხმადაბლა ელაპარაკება ცელოვანი ევას, მაგრამ ამავე დროს ყურს უგდებს მძის სიტყვებს).

პავლა — (შეაშინია ეს, მხიარულად ამბობს) რატომ არცხვენთ ჩემ საქმროს?

ანტიპა — რით ვარცხვენ? ის ჩემი შვილია... მე მახსოვს...

პავლა — (ხმადაბლა). რატომ მიყურებთ ასე?

ანტიპა — ერთ ჰერქვეშ უნდა ვიცხოვროთ და მინდა გავიგო ვისთან მექნება საქმე. აი შენ ამბობდი, მონასტერში კარგიაო, სიჩუქეაო... ჩვენთანაც თითქოს მონასტერია. ხანდახან სოფია თუ ასტეხს ხოლმე აურზაურს...

პავლა — იცით, თქვენ გულკეთილი ხართ...

ანტიპა — (მოიღუშება). პოო... არ ვიცი! სხვისთვის, რა თქმა უნდა, უფრო შესამჩნევია. შენ სულ შენსას გაიძახი. ეს საყურადღებოა. არა, გულკეთილობას ვერ დავიტრახებ. (აენთება). შეიძლება მქონდა და მაქვს კიდევ გულში სიკეთე, სათნოება, მაგრამ რის საქმისია?! სიკეთეს თავისი ადგილი აქვს. ცხოვრებაში კი ადგილი სიკეთისათვის არ არის. არსად არ შეგიძლია ჩასჩარო შენი გულის კარგი წადილი. გესმის — არსად! მათხოვარს, რაც არ უნდა მისცე, სულ ერთია, არაყში დახარჯავს. არა, პავლა, არ მიყვარს მე ადამიანები... სახლში ერთი კარგი ადამიანი მყავს — ტარაკანოვი. ბოჭალულის ყოფილი თანაშემწე.

სოფია — გმადლობთ!

ანტიპა — შენ? შენ გაჩუმდი! შენ უცხო ხარ, შენ სხვა ხარ... დამერთმა იცის ვინ ხარ შენ, ჩემო დო! განა შენ გულკეთილი ხარ? ჩვენ ხომ გულკეთილობაზე ვლაპარაკობთ, შენ კი არც კეთილი ხარ და არც ბოროტი.

სოფია — კარგად კი მახსიათებ!..

ანტიპა — განა ცუდად, სოფია? აი, ანა მარკოვნა, — სოფია

ჩემზე უმცროსია ორი ათეული წლით, მაგრამ მძიმე წუთებში ისე მიემართავ როგორც დედას.

სოფია — შენ რაღაც ალაპარაკდი? საკვირველია...

ანტიპა — ასე ყოფილა საჭირო. პო, ტარაკანოვი. ის ხომ გულკეთილობისათვის სამსახურიდან გააგდეს. ის ჭკვიანია, მცოდნე, მაგრამ ყველაფერში გამოუსადეგარი. მას მხოლოდ უნდა უყურო... როგორც ვასართობ ნივთს. ძველად მას მასხარად გაიხდიდნენ.

სოფია — (გაიღიმებს). შენც თქვი რაღაც! რატომ მასხარად!

ანტიპა — ასე მგონია, შენ ჩვენი ბუდის, ზიკოვების, აღარა ხარ. ექვსი წელი თავადს ჰყავდი ცოლად, შენში ბატონის სისხლია.

სოფია — სჯობია გაჩუმდე, ანტიპა...

ანტიპა — არა, მადროვე. შენ ჭკვიანი ხარ და ყველაფერი გეხერხება, შენ ხომ ქალი ხარ, ლალი ფრინველი. მოსწყდები და გაფრინდები. მე კი დავრჩები მარტო. მაშაყაცმაკი კი არ იცის ყოველთვის, რა იქნება ის ხვალ და შენი ხასიათის ქალმა, ხომ მით უმეტეს — ეს ასეა!

ცელოვანიევა — მიხეილზე რას იტყვით?

ანტიპა — შეილზე? გინდათ, სიმართლე იცოდეთ? სიმართლე ვითხრა, მისი კარგი ძალიან ცოტა გამოიგონია, ჩვენ კი პატიოსან საქმეს ვკიდებთ ხელს. სიმართლე უნდა თქვას კაცმა, მიხეილმა სიკეთისა ძალიან ცოტა შეითვისა, აი ლექსებს წერს, გიტარაზე უკრავს. რეალური სასწავლებელი არ დაუმთავრებია, ნიჭი არ ეყო, ნიჭი კი მოთმინებაა... თუმცა მოთმინებით ვერც მე დავიკვებნი.

პავლა — (აღღვებული). ასე რომ ლაპარაკობთ თქვენს შვილზე, ჩემს საქმროზე, ჩემზე რაღაც ფიქრობთ?

ანტიპა — (თითქოს თავისთვის). სწორად მკითხა...

ცელოვანიევა — (შეწუხებული). ჩემო კარგებო, მომისმინეთ, მე დედა ვარ...

სოფია — (შაკარად). კარგად მოიფიქრე რას აკეთებ?

ანტიპა — (აღგება. შთაგონებით). ფიქრი მე არ ვიცი. დეე, ეო საც უნდა იმან იფიქროს, მე კი ვიცი, რაც მიწა... პავლა ნიკოლაევი, ადე, გამომყე წუთით! (ქალები დგებიან. პავლა თითქოს სიზმარშია, იღიმება, მიღის სამზარეულოს გვერდით მოთავსებულ ოთახში. ანტიპა მძიმედ და პირქუშად მიყვება. კარებს არ ხუროვენ. ისმის ანტიპას სიტყვები): „დაჯექი ახლავე აზრებს მოვიკრეფ!“

ცელოვანიევა — (დაეშვება სკამზე). ღმერთო! რა უნდა? სოფია ივანოვნა, რა არის ეს?

სოფია — (აღღვებული ღაღის). თქვენი ქალიშვილი ძალიან ჭკვიანია...

ნია... თუ სწორად მესმის. (უკიდებს პაპიროსს, თვალებით ეძებს სად დააგდოს ასანთის ღერი).

ცელოვანიევა — ეს ხომ თვითონ ანტიპას უნდა...

სოფია — მადროვეთ...

ანტიპა — (ოთახში). რა ქმრობას გაგიწევს ის შენ?! წლოვანებით ხართ თანატოლნი, თორემ სულთ შენ უფროსი ხარ. მე გამოწყევი! ის ჩემზე მოხუცია, მოღუნებული! მე შეგიყვარებ ახალგაზრდულად! მდიდრულად ჩაგაცმევ, ფარჩებში გაგხვევ. უსიხარულოდ ეცხოვრობდი, პავლა, ისე არა, როგორც ეს საჭირო იყო... მაცხოვრე სხვანაირად, რომ მიხაროდეს რამე, გულით მივენდო კეთილს. აბა?

სოფია — (აღღვებული). გესმით? კარგად ამბობს! მოწიფულებმა ძლიერი სიყვარული იციან...

ცელოვანიევა — არაფერი არ მესმის!.. ღვთისმშობელო, ყოვლისმძღვე, შენი იმედი მაქვს, შეიცოდე შეილი ჩემი, აშორე უბედურება. ისედაც ბევრი ტანჯვა გამოვიარე. შეილის დარდიც ვანმიცილია...

სოფია — დამშვიდდით! მეც გოცებული ვარ... თუმცა ეს მის ხასიათშია... რას იზამ ახლა? ეტყობა თქვენი ქალიშვილიც არ არის წინააღმდეგი.

ცელოვანიევა — მე თქვენ არავის არ გიცნობდით. მოხვედით, რომ შეილს, ძმის შეილს ცოლი შეერთო. უცებ რა მოხდა? (მიღის ოთახში, სადაც ანტიპა და ქალიშვილია). მე უნდა მოგიმინოთ. დედა ვარ... მე არ შემძლია...

ანტიპა — ჩემი ცხოვრების გზაზე შენ ღმერთმა დაგაყენა. ანა მარკოვნა, ყური მიგდე! (კარები დახურა. სოფია ტუჩებს იკვნიტს. დაღის ოთახში. ფანჯარაში გამოჩნდა მურატოვის თვალეშეშუებული დამცინავი სახე).

სოფია — (თავის თავს). ღმერთო ჩემო..

მურატოვი — მოგესალმებით.

სოფია — ოჰ, ეს თქვენა ხართ?

მურატოვი — მერე რა?! თქვენმა რიჩარდ შოხინმა მითხრა, რომ აქა ხართ. და მე ჩავთვალე ჩემი თავი ვალდებულად, ვხლებოდით...

სოფია — ფანჯრიდან?

მურატოვი — აბა! ჩვენ უბრალო ჩვევები გვაქვს, როგორც იცით.

სოფია — თქვენ სულ უბრალოვდებით.

მურატოვი — ირონია? დიახ სულ ვუბრალოვდები. თქვენ კი მაქანკლობთ?

სოფია — უკვე გაიგეთ?  
მურატოვი — რასაკვირველია! ამბობენ, სარძლოც ურევსო...  
სოფია — ალბათ იმასაც გაიგებდით, რომ მე ვითომ რომანი მაქვს თქვენთან?  
მურატოვი — გაიგე. ხალხი წინ უსწრებს მოვლენებს.  
სოფია — მერედა, თქვენ არ გაგიბათილებითა თუ ვე ხმები?  
მურატოვი — რატომ? მე ვამაყობ ამით.  
სოფია — თქვენ ხომ არ გაავრცელეთ თუ ვე ხმები?  
მურატოვი — აი, ამას ქვია — ღობეს ჩხირიო... მაგრამ როდესაც ამ კილოთი მელაპარაკებიან, თავი ვხდები...  
სოფია — გთხოვთ მოშორდეთ აქაურობას.  
მურატოვი — რას ვიზამ? მივდივარ. კვირას, შეიძლება, თქვენთან მოვიდე?  
სოფია — მობრძანდით. მაგრამ, შეიძლება, არც მობრძანდეთ.  
მურატოვი — არა, სჯობია მოვიდე. მოწინებთ გიხრით თავს. გისურვებთ ყოველგვარ წარმატებებს და მიღწევებს... ყოველგვარს!  
სოფია — არ დაგავიწყდეთ ჩემი თხოვნა, აღწერის ასლები.  
მურატოვი — მე არაფერი არ მაგიწყდება.  
მიხეილი — (შემოდის). ვერსად შამპანურს ვერ იშოვი ამ დაწყველილ ადგილას. ამას ვის ვხედავ!  
მურატოვი — შენ რა მართლ დასეირნობ, სასიძოვე?  
მიხეილი (ხელის ქნევით ეთხოვება). საღამოს შეგხვდებით.  
მურატოვი — შეგხვდებით. ჰო, იცოდეთ: უცოლობის გამოსათხოვარი ქეიფი შენზეა.  
მიხეილი — რასაკვირველია... (მურატოვი მიდის). სად არიან თქვენები?  
სოფია — (გაშტერებული უყურებს). იქ, იმ ოთახში...  
მიხეილი — რა, მე კაცად არ მთვლიან? კარგად მესმოდა, როგორ მჭევრმეტყველებდა მამაჩემი...  
სოფია — (თითქმის ზიზღით). შენ მგონი ყველგან ზედმეტი იქნები...  
მიხეილი — ხომ გეუბნებოდი, რომ ასე უკეთესი იქნება მეთქი, რა საჭირო იყო წესიერი ყმაწვილის შეწუხება. აი ესეი ჩემი უცოლობის გამოსათხოვარი ქეიფი... მამიდა, მოგეწყინა?  
სოფია — თქვენთან? ოღონდაც! თქვენთან ყოფნა არამც თუ მოსაწყენია... თქვენთან საზარელია ცხოვრება. (შემოდის პავლა და ანტიპა, ანა მარკოვნა თვალცრემლიანი).  
ანტიპა — (საზეიმოდ). აი, დაო სოფია... ხედავ... ჩვენ გადაწყვეტიეთ... (გულზე ხელს იტაცებს).

პავლა — სოფია ივანოვნა, გამიგეთ, მაპატიეთ!..  
სოფია — (მოხევევა). არ ვიცი, რა გითხრათ... არაფერი არ მესმის თქვენი...  
ანტიპა — მიხეილ... შენ... არ გეწყინოს, ჯერ ახალგაზრდა ხარ... გასათხოვარი ქალები ბევრია.  
მიხეილი — ძალიან მოხარული ვარ... ღმერთმანი! პავლა ნიკოლაევნა, მე ვთქვი, რომ ძალიან მოხარული ვარ-მეთქი. ნუ წუხხართ! განა არ ვიცი, რომ თქვენი შესაფერი არ ვარ.  
ანტიპა — აი, ხომ ვამბობდი, ანა მარკოვნა...  
პავლა — (მიხეილს). ჩვენ მეგობრულად ვიცხოვრებთ...  
მიხეილი — (თავს უხრის). ოო, რასაკვირველია! (ჩუმად იცინის).  
ანტიპა — ანა მარკოვნა, დამშვიდდით! ღმერთს გეფიცებით, ჩემი მიზეზით შენი ქალიშვილი ერთ ცრემლსაც არ დადვრის.  
ცელოვანი ევა — (დაუწოებს). შენ დედა გყავდა, უყვარდი, კეთილი ადამიანი, გაიხსენე დედაშენი! შენ დედას გაფიცებ, შეიბრალებ ჩემი ქალი! (ანტიპა და პავლა წამოაყენებენ. სოფია მიბრუნდება კედლისაკენ და თვალს იწმენდს ხელსახოცით. მიხეილი აღივებული არაქს ზედიზედ სვამს).  
პავლა — დედილო, კმარა! ყველაფერი კარგად იქნება!  
ანტიპა — სიტყვას მოგცემ, როგორც გინდა... აღთქმა მიმიღია, აღექი! ოცდახუთი ათასი შემაქვს ბანკში ამის სახელზე. კმარა!  
სოფია — კმარა, ბატონებო! მიშა, დამისხი რამე! ანა მარკოვნა, ახლა მე და თქვენ მზახლები ვართ. თუმცა ახალგაზრდა ვარ ასეთ წვერიან შვილისათვის. (ანტიპას). რას ცახცახებ? თითქოს სამართალში მიგცესო?  
ცელოვანი ევა — ჩემო კარგო! (ეხვევა შვილს და უხმოდ ტირის).  
ანტიპა — დაჯდომა და გაჩუმება მომიხდა, როგორც ვიცით ხოლმე დიდი მგზავრობის წინ...  
სოფია — აი რა, აქ პაერი შეხუთულია. პავლა, გაიყვანე ყველანი ბაღში!  
პავლა — (ანტიპას და დედას წავლავს ხელს). წავიდეთ!..  
მიხეილი — დალევა რომ გინდოდათ?  
სოფია — მერე იყოს. დაანებე თავი. უჰ, ბაღლო! (მოხევეს ხელს თმებს უვარცხნის). რა იყო?  
მიხეილი — არაფერი, მამიდა სოფია, ჩემთვის სულ ერთია!  
სოფია — წავიდეთ ბაღში!  
მიხეილი — არ წამოვალ!..  
სოფია — რატომ?  
მიხეილი — არ მინდა!..

სოფია — (ჩახედავს თვალებში, ჩუმად). მაშ სულ ერთი არ ყოფი-  
ლა, ხომ?

მიხეილი — (ჩაიცინებს). მეუხერხულეება რატომღაც მამის მა-  
გივრად. ასეთი ლამაზი ვაჟკაცია, ჩამოსხმული. მთლიანი... განა მან  
ნამცხვრები უნდა ჭამოს?

სოფია — (შიდის დიმილით). რას იზამ? ადამიანს ყოველთვის  
სურს ცოტაოდენი ბედნიერება, სულ ცოტაოდენი!

მიხეილი — (მივა მაგიდასთან, დაასხამს ღვინოს, ბუტბუტებს). რატომ  
ცოტაოდენი? ცოტაოდენი მოსაწყენია...

ფ ა რ ღ ა

## მოქმედება მეორე

ზიკოვების ბაღში მარცხნივ მდიდრული სახლის ტერასა. ტერასის პირდაპირ ცაცხ-  
ვის ქვეშ მაგიდა. პავლა ქარავას, მიხეილი გიტარითაა. ტარაკანოვი  
გრძელწვერიანი, ძალიან უცნაური და სასაცილო მოხუცია, აცვია პარუსინის ტან-  
საცმელი. ბაღის სიღრმეში, ტერასის ბოლოს ცელოვანი ევგენი ხარშავს მურა-  
ბას, მასთანაა სტეპკაც.

ტარაკანოვი — ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ წარმო-  
იშვა შეხედულებათა აღრევა და არავინ არ იცის ზუსტად თავისი  
ადგილი...

პავლა — (ჩაფიქრებული იმეორებს). შეხედულებათა აღრევა.

ტარაკანოვი — ნამდვილია.

მიხეილი — (სიმეგზე თითებს ათამაშებს). მატვეი ილიჩ, გვიამბეთ  
რამე, ოღონდ უფილოსოფიოდ...

ტარაკანოვი — უფილოსოფიოდ არაფერი არ არის, რადგან  
ყველაფერში ჩამარხულია თავისი აზრი და ის უნდა იცოდე.

მიხეილი — რატომ?

ტარაკანოვი — როგორ თუ რატომ?

მიხეილი — თუკი არ მინდა ვიცოდე?

ტარაკანოვი — ეგ არ შეიძლება.

მიხეილი — მე ვარ და არ მინდა...

ტარაკანოვი — ჭაბუკური ახირებაა.

პავლა — თქვენ ნუ კამათობთ, ილაპარაკეთ უბრალოდ...

ტარაკანოვი — აი გეტყვიან — ჩამოდექით და შენ კი ვერ  
მიხვდები.

მიხეილი — არა, მართლა? მერე?

ტარაკანოვი — მერე და მოგიცილებენ გზიდან.

მიხეილი — თვითონ ჩამოგეცლები, მატვეი ილიჩ, ამას  
ყოველთვის შეეძლებ. ერთი გულაზიზი კაცი ვარ.

პავლა — (გადახედავს). ნუ ჯაერობ... გულის ამყოლნი ხშირად  
ცლებიან...



ტარაკანოვი — არ მესმის რას ნიშნავს გულაზიზობა?  
ცელოვანიევა — გეყოფათ, მოსაწყენია თქვენი ლაპარაკი.  
პავლა, გინდა მურაბის ქაფი?

პავლა — არა, გმადლობთ! სჯობია გაცე განკარგულება,  
ვანშმად ხაფიწი დამიმზადონ...

მიხეილი — რატომ მართო თქვენ, იქნებ მეც მიყვარს ხაფიწი.

პავლა — (ამოიხრებს). ღვინის მსმელებს ტკბილეული არ უყვართ.

მიხეილი — ამას აფორიზმი ეწოდება.

პავლა — რას?

მიხეილი — იმას, რაც თქვენ სთქვით.

პავლა — რატომ აფორიზმი?

მიხეილი — ეშმაკმა იცის!

ტარაკანოვი — უცნაური კაცი ხარ, მიშა.

მიხეილი — ყველა ადამიანი უცნაურია და მათი გაგებაც არ შეიძლება. თქვენც უცნაური ხართ, თქვენ უნდა მსახურობდეთ და ქრთამებს იღებდეთ. თქვენ კი ფილოსოფოსობთ.

ტარაკანოვი — მე ქრთამები არ მჭირდება. მართხელა კაცი ვარ.

პავლა — მე გამიგონია, რომ შვილი გყავთ?!

ტარაკანოვი — უარი განვაცხადე მასზე...

პავლა — სულ? რატომ?

ტარაკანოვი — საბოლოოდ. იმიტომ, რომ რუსეთი არ უყვარს.

პავლა — (ამოიხრა). არ მესმის...

მიხეილი — მატყვი ილიჩს თვითონ არ ესმის არაფერი.

ცელოვანიევა — გესმით, როგორ ელაპარაკებიან ახლა მოხუცებს!..

მიხეილი — მოხუცები თვითონ აღიარებენ, რომ ცხოვრობენ შეხედულებათა აღრევის დროს. მაშასადამე, არაა საჭირო ჭკუის სწავლება.

ცელოვანიევა — განა მე გასწავლით? ღმერთო ჩემო! (მიდის ტერასაზე, სტეპა ჯიბეში იყრის შაქარს).

პავლა — ნუ აწყენინებთ ერთმანეთს! რა საჭიროა?

ტარაკანოვი — თავს ვირთობთ.

მიხეილი — დიახაც!..

პავლა — მიშა, დაუჯარით თქვენი სიმღერა ქალიშვილზე.

მიხეილი — არ მინდა...

პავლა — გთხოვთ, გეთაყვა...

მიხეილი — (შეხედავს) მშობლებს უნდა გაუგონო. (აწყობს გიტარას, ტარაკანოვი ტენის ჩიბუხს და აბოლებს).

მიხეილი — (გიტარას ჩუმად უკრავს და რეჩიტატივით მღერის),

ვნახე ერთი უცხო ქალი,

მოდითა ველად;

ნუთუ იგი ვაჩენილა

ჩემი გულის მწველად?

ტარაკანოვი — ვინ არის ეს ქალი?

პავლა — (ნადვლიანად). ნუ უშლით! ეს ოცნებაა...

ტარაკანოვი — (ამოიხრებს). მაშასადამე, ლაპარაკია საერთოდ ქალიშვილზე. მესმის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ცოლის შერთვა.

პავლა — ოხ, ნუ უშლით ხელს!

(შემოდის მურატოვი. ტანთ სამგზავრო კოსტიუმი აცვია. ხელში სტეკი უჭირავს. ირონიით უყურებს მიხეილს).

მურატოვი — (შემოდის ბაღში). რა პოეტური სურათია? მურაბა იხარშება, სასიამოვნო ლექსებს კითხულობენ... სალამი, პავლა ნიკოლაევნა, თქვენ სულ მშვენივრებით! სალამი სიმართლის და სიკეთისაგან გადამდგარო მქადაგებელო! გამარჯობა, მიშა!.. (მურატოვი ჯდება პავლას გვერდით. პავლა შეიშმუნება და გაიწევს. ტარაკანოვი ჩუმად მიესალმება და მიდის ბაღის სიღრმეში, პირქუშად გადახედავს მტყუვეს). მთელი სახლი დავიარე და არაფინაა.

პავლა — დეიდა სოფია შინაა.

მურატოვი — გავიგონე გიტარის ჩემი ხმა... ვისია ეს ლექსი, მაშა?

მიხეილი — ჩემი... მერე რა?

მურატოვი — ვერ არის კარგი... თუმცა საშინაოდ გამოდგება.

პავლა — დავუძახო დეიდას?

მიხეილი — (ჩაიცინებს). იჯექი, მე დავუძახებ!..

პავლა — სჯობია მე დავუძახო...

მურატოვი — რატომ სჯობია?

პავლა — არ ვიცი. მაშინ მიშამ დაუძახოს...

(მიხეილი მიდის. გიტარას ტოვებს, მურატოვი აიღო გიტარა და თავი დახარა მავლასაკენ).

მურატოვი — რა კარგია იყო სამხედრო გადამწერი. თამაში ხალხია, საუცხოოდ იციან არშიყოფა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

პავლა — არ ვიცი.

მ უ რ ა ტ ო ვ ი — სამხედრო გადაწყვერებს და პარიკმახერებს ძალიან უყვართ გიტარაზე დაკვრა.

პ ა ვ ლ ა — მართლა?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — თქვენ ცუდი ევა ბრძანდებით. არა ხართ ცნობისმოყვარე. ნუთუ არ გაინტერესებთ, რატომ დავიწყე თქვენთან ხშირად სიარული?

პ ა ვ ლ ა — (დარცხვენიალად). არა... არ მაინტერესებს...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — ძალიან ვწუხვარ. მინდოდა კი რომ გეფიქრათ...

პ ა ვ ლ ა — თქვენ დეიდა სოფიას ძველი ნაცნობი ხართ...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — ნაცნობი ძველი ვარ, მაგრამ გული მაქვს ახალგაზრდა და ახალგაზრდებისკენ მიილტვის, როგორც თქვენი, მაგალითად, მიშასკენ, მეტად სულელი ყმაწვილისაკენ.

პ ა ვ ლ ა — (აღღვებულად). ის სრულებითაც არ არის სულელი...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — თქვენზე უკეთესად ვიცნობ: ის ხომ სულ ჩემთან ლოთობს...

პ ა ვ ლ ა — და მე სრულიადაც არ მივილტვი...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (ღიღინებს). მოხუცი ქმარი, მრისხანე არი!

პ ა ვ ლ ა — (აღვა). ეს არ არის მართალი!

მ უ რ ა ტ ო ვ ი — რა არ არის მართალი?

პ ა ვ ლ ა — ყველაფერი, რასაც თქვენ ამბობთ. არ მსურს თქვენთან საუბარი. თქვენ მე განგებ...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — რა განგებ?

პ ა ვ ლ ა — არ ვიცი როგორ ვითხრათ. თქვენ მე დამცინით. (სწრაფად მოშორდება).

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (ამოიღებს სათუთუნეს, პავლას თვალს გააყოლებს, ამოიხრებს). სულელი! (ოდნავ არტყამს სტეკის ბოლოს გიტარის სიმებზე. ტერასის კუთხიდან გამოიხედა ცელოვანივეამ და ისევ მიიმალა. სახლიდან გამოდის სოფია. გაჩერდება ზედა საფეხურზე, ღრმად ამოიხრებს).

ს ო ფ ი ა — რა მშვენიერი დღეა...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (წამოღვება, მიეგებება). ცხელა და მტვერიცაა. გამარჯობათ!

ს ო ფ ი ა — რად აწყენინეთ პავლას?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — მე?!

ს ო ფ ი ა — აბა, აბა, თავს ნუ იკატუნებთ!..

მ უ რ ა ტ ო ვ ი — მე პავლა მართობს ხოლმე.

(ანა მარკოვნა ქურასთანაა. მასთანაა სტეპაკი).

მ უ რ ა ტ ო ვ ი — როგორ ფიქრობთ, იდილია ჩქარა გადაიქცევა ღრამად?

ს ო ფ ი ა — (მკაცრად). ნუ სულელობთ! ჩამოიტანეთ ბოლოს და ბოლოს ქაღალდები?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — არ ჩამომიტანია, ჩემი საქმისმწარმოებელი ხომ ისეთი ზარმაცია!..

ს ო ფ ი ა — არც თქვენ გამოირჩევით შრომისმოყვარეობით.

მ უ რ ა ტ ო ვ ი — მე პრინციპულად ვზარმაცობ. რატომ უნდა ვიშრომო ველური ადამიანებისათვის, რომლებსაც არ შესწევთ უნარი შეაფასონ ჩემი შრომა?

ს ო ფ ი ა — ეს თქვენ ხშირად გითქვამთ...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — მაშასადამე, ვამბობ სერიოზულად.

ს ო ფ ი ა — თუ ორიგინალობთ?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — მე ვცხოვრობ უსინდისო, ზარმაც და უკულტურო ადამიანთა შორის და არ მინდა... უაზროდ მიმაჩნია რაიმე ეკეთო მათთვის. ეს გასაგები უნდა იყოს, მე მგონი!

ს ო ფ ი ა — გასაგებია, მაგრამ თვენთვის საქებარი არ უნდა იყოს...

(ანა მარკოვნა ყურში ჩააულებს ხელს სტეპკას და საღვაც მიჰყავს).

მ უ რ ა ტ ო ვ ი — ხო! რას იზამ. მართლა, ის თქვენი ხევერნი...

ს ო ფ ი ა — ნუ ვილაპარაკებთ იმაზე...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — რატომ?

ს ო ფ ი ა — არ მსურს...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — რომ მე იმაზე ვილაპარაკო?

ს ო ფ ი ა — დიახ!

მ უ რ ა ტ ო ვ ი — ოჰო! ჰმ! მე კი ერთი მხრივ იმიტომაც მოვედი, რომ გაცნობოთ მაგ ვაჟბატონის შესახებ...

ს ო ფ ი ა — მაგ ვაჟბატონს ვუსტავ ეგორჩის ეძახიან და მე მას ძალიან პატივს ვცემ.

მ უ რ ა ტ ო ვ ი — თუკი აღმოჩნდა, რომ ის გაიძვერა?

ს ო ფ ი ა — (აღვა. მტკიცედ და გაბრაზებით). რა გნებავეთ?!

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (ცოტათი შეშინდა). უკაცრავად.

ს ო ფ ი ა — ეს-ეს არის ვითხარით ჩემი აზრი მაგ ადამიანზე.

მ უ რ ა ტ ო ვ ი — ხომ შეიძლება, რომ თქვენ სცდებოდეთ!

ს ო ფ ი ა — ჩემს შეცლომებზე მე ვაგებ პასუხს. მე თქვენზე უკეთესად ვცნობ ხალხს!..

მ უ რ ა ტ ო ვ ი — მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას თქვენდამი არ გრძნობთ.

ს ო ფ ი ა — ეს არ არის მართალი! (ჩაიცანებს). ვიცი, გჯერათ ჩემი, მაგრამ პატივს არ მცემთ...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (ამოიხრებს). ოო! როგორ ცდებით...

სოფია — არ უნდა ამას „ოო“, და არც ვცდები. მე თქვენთვის ვაქრის ქალი ვარ. მემამულის ნაცოლარი, ქმრისაგან ვარყენილი და დაღლილი, მდიდარი ქალი. ცბიერი, წარწყმედილი, მაგრამ მხალღი და სულელი. ჩემი სულელობის იმედით ცინიკურად მოგაქვთ თავი ჩემთან, ხომ?

მურატოვი — მე ცინიკოსი არა ვარ, მე სკვპტიკოსი გახლავართ, როგორც ყოველი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანი.

სოფია — მე კარგად მახსოვს თქვენი პირველი იერიშები ჯერ კიდევ ქმრის სიცოცხლეში. (აზიოხრა). თქვენ რომ გცოდნოდათ, როგორ შვირდებოდა მაშინ თქვენი თანაგრძნობა, პატიოსანი დამოკიდებულება...

მურატოვი — მე გეძეოდით პატიოსნად, როგორც შემეძლო.

სოფია — მაშ არ შეგძლება. მე თქვენ მაშინ მომწონდით. ვფიქრობდი კეთილი და ჭკვიანი კაცია-მეთქი.

მურატოვი — მე მაშინ უფრო სულელი ვიყავი, ვიდრე ახლა...

სოფია — მე არ დაგნებდით და ამან დროებით გაახელა თქვენი თავმოყვარეობა, თქვენი სიჯიუტე.

მურატოვი — სიჯიუტე კი არა, ვნება.

სოფია — კარგი ერთი! თქვენ და ვნება...

მურატოვი — ჩვენ, მგონი, ვჩხუბობთ?

სოფია — დიახ! ვაგეხარდი, მაპატიეთ!

მურატოვი — (თავს დაუკრავს). არაფერია! მე მზად ვარ შემდეგშიც გისმინოთ. რალაც ამდაგვარი საუბარი ხომ მაინც უნდა მომხდარიყო ჩვენს შორის...

სოფია — ხო? მეც ასე მგონია.

მურატოვი — (მიხედავს). მაშ განაგრძეთ.

სოფია — (უყურებს მას). ერთხელ კინალამ დაუჯერე თქვენს გრძნობებს...

მურატოვი — როდის?

სოფია — ეს სულ ერთია თქვენთვის. (ადგება, დაღის).

მურატოვი — (მცირე დუმილის შემდეგ). მინდა ვიცოდე, რას ფიქრობთ ჩემზე?

სოფია — კარგს არაფერს.

მურატოვი — მაშ ვილაპარაკოთ პირდაპირ! და თუ გულს მოხვდება...

სოფია — მაშინ რა მოხდება?

მურატოვი — როგორ გითხრათ? რალაც მოხდება...

სოფია — (ჩაფიქრდება). იცით, რა გითხრათ? თქვენ ხომ ვითომ და თქვენი ჩემდამი რალაც საბედისწერო გრძნობით გინდათ დაუ-

როთ თქვენი სიზარმაცე, გაამართლოთ თქვენი უხეირო ცნობრება...

მურატოვი — დასაწყისი არ არის ცუდი...

სოფია — თქვენ ძალზე უპატიოსნო კაცი ხართ...

მურატოვი — (ადგება, ჩაიციხება). ეს კი მეტისმეტია.

სოფია — (მივა ახლოს). უპატიოსნო! პატიოსან კაცს არ შეუძლია ყველაფრით ისარგებლოს და თვითონ კი არაფერი არ გაიღოს.

მურატოვი — არ მახსოვს, რა წავილე თქვენგან...

სოფია — ამბობენ, თქვენ კანონების მკაცრი დამცველი ხართ.

მე კი ვფიქრობ, თქვენ სდევნით ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ არ გიყვართ ისინი. თქვენ მოგწყინდათ მათთან ურთიერთობა და გულნამცეცად, ბოროტად შურს იძიებთ მათზე სწორედ იმიტომ, რომ მოწყენილი ხართ... იმ უფლებებით, რომელიც თქვენთვის მოუნიჭებიათ, სარგებლობთ, როგორც ლოთი ან როგორც ჩემი გარდაცვლილი ქმარი, ავადმყოფი ადამიანი... რა ცუდად ვლაპარაკობ! რატომღაც სულ სხვისი სიტყვები მადგება ენაზე. მაგრამ კარგად ვგრძნობ ყველაფერს და გეტყვით გულწრფელად: მეცოდებით...

მურატოვი — მადლობას ვერ გეტყვით...

სოფია — საშინლად ცხოვრობთ.

მურატოვი — ვითომ?

სოფია — არავინ და არაფერი თქვენ არ გიყვართ...

მურატოვი — დიახ, მე არ მიყვარს ადამიანი...

სოფია — თქვენ თქვენი საქმეც არ გიყვართ.

მურატოვი — არც საქმე მიყვარს. რაო — ტყე დავიცვა? არა, მე ეს არ მახალისებს! შემდეგ? რას იტყვით?

სოფია — თქვენ ხომ იმას სწავლობდით როგორ მოგველოთ, დაგვევათ ტყეები?

მურატოვი — მართალსა ბრძანებთ.

სოფია — მერე?

მურატოვი — შევცდი. რას იზამ, ეს ჩვეულებრივი შეცდომაა რუსისთვის. რუსი კაცი პირველ ყოვლისა ცდილობს გავიდეს როგორმე თავის მშობლიურ წრიდან, მაგრამ სად და რა გზით? ეს სულ ერთია მისთვის! ასეთი ვართ ჩვენ. ყველაფერი სთქვით, რაც ვინდოდით?

სოფია — დიახ!

მურატოვი — დასკვნა?

სოფია — დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ!..

მურატოვი — იქნებ იმედოვნებთ, რომ ამ ფილოსოფიური საუბრის შემდეგ თავს მოვიკლავ? არა, თავს არ მოვიკლავ. ისეთები, როგორიც მე ვარ, ათასობითაა და ცხოვრება კი ჩვენი ასპარეზია, ქალ-

ბატონო! ისეთები, როგორც თქვენ ხართ, ერთეულებია. ათეულე-  
ბი; თქვენ სრულიად ზედმეტნი ხართ ამ ცხოვრებაში და ადგილი ვერ  
გიპოვნიათ. წინათ თქვენ რევოლუციას ეტმასნებოდით,  
მაგრამ რევოლუცია დღეს აღარავის სჭირდება, აქედან დასკვნა უნდა  
გააკეთოთ.

სოფია — (ჩაიციანებს). მგონი, გულში მოგხვდათ, არა?

მურატოვი — გულში? არა!

სოფია — ჩვენ უკვე დავამთავრეთ?

მურატოვი — (შუბლ ქვემოდას შეხედავს). თქვენ უფრო ჰკვიანო  
აღმოჩნდით, ვიდრე ვფიქრობდი. მიკვირს, როგორ შეგიძლიათ მოით-  
მინოთ ყოველივე ეს... ეს სიბინძურე თქვენს გარშემო... (ამოიხრბა).  
მაინც მაქვს რაღაც გულში თქვენდამი...

სოფია — მაგრამ ეს საჭირო არ არის არც თქვენთვის და არც  
ჩემთვის...

მურატოვი — თქვენ ძალზე უბრალოდ უყურებთ ადამიან-  
ებს, ქალბატონო. ძალიან მარტივად!

სოფია — (აღზნებულა). ოხ! დაეხსენით მაგ სირთულეს! გრცხვე-  
ნოდეთ ბოლოს და ბოლოს. თქვენ მის უკან მხოლოდ სიცრუეს  
და გარყვნილებას მალავთ.

მურატოვი — თქვენ გაბრაზდით? მივდივარ. მე თვითონ მი-  
ყვარს ვაცხარება, მაგრამ როდესაც სხვა, და მით უმეტეს ქალი, სტკბე-  
ბა თავისივე სიცხარით, ეს არ მომწონს. (აუჩქარებლად შედის სახლში.  
ტერასის საფეხურზე ჩერდება). მე არ მიმაჩნია ჩვენი დღევანდელი საუბარ-  
ი ჩხუბად! თანახმა ხართ?

სოფია — (ხმადაბლა). როგორც გენებოთ...

მურატოვი — მაშ ასე; ნახვამდის! უფრო სასიამოვნო შეხ-  
ვედრამდე. (სოფია მართო დარჩენილი დადის. მხრებს იჩეჩავს. ეცინება).

სტეპკა — (ვაშოხედავს). სოფია ივანოვნა, ბებია მ ყურები ამო-  
წია...

სოფია — (არ უყურებს). რა ჩაიღინე?

სტეპკა — შაქარი ავიღე ცოტა...

სოფია — უნდა გეთხოვა.

სტეპკა — მაინც არ მომცემდა.

სოფია — ჩემთვის გეთხოვა.

სტეპკა — შენ არ იყავი.

სოფია — შენც მოგეცადა...

სტეპკა — ეს კი მართალია. რა სულელი ვარ...

სოფია — (უაღერსებს). მართლა სულელი...

სტეპკა — როდის ვიქნები ჰკვიანი?

სოფია — იქნები, იქნები... წადი, ნახე, ვინ მოვიდა?

სტეპკა — (გაოცის). 'იეაე, შეხი გერმანელი...

სოფია — (ჩაიციანებს, გაიხედავს ტერასის კუთხისკენ). ანა მარკოვნა,  
რად იმალებით?

ცელოვანიევა — თქვენ საუბრობდით... მე კი აი, მურაბა  
დამეწვა. მაგ გოგოს ტყუილად ეაღერსებით. შაქარს იპარავს...

პავლა — (ტერასიდან). დეიდა სონია, მოვიდნენ!

სოფია — ვიცი, მივდივარ! რატომ ხარ მოწყენილი?

პავლა — მიშა ვიამბობდათ სასწავლებელზე...

ცელოვანიევა — ჰოო, ჰო!

სოფია — უნდა რაიმე ცივი საჭმელი მოვამზადო. ალბათ მოი-  
თხოვენ. (მის შედის).

ცელოვანიევა — ეხ, პავლა ჩემო! არ უნდა გაგვეყიდა ჩვენი  
სახლი.

პავლა — არაფერია, დედიკო!..

ცელოვანიევა — საკუთარი კუთხე კაცისთვის ცუდი როდია.  
(ხმადაბლა). სოფიამ აქ მეტყვევებ შეახურა. ოო, რა თამამი ქალია. ეტ-  
ყობა გადასწყვიტა, გერმანელს გაჰყვეს.

პავლა — (ააფიქრდება). სოფია კარგი ქალია.

ცელოვანიევა — მერე ჩვენ რა, რომ კარგია?

პავლა — ჰკვიანიცაა.

ცელოვანიევა — არ ვარგა, როცა ქალი მუდამ ჰკვიანია. აი,  
შენ, მიხეილთან ხშირად რომ არ...

პავლა — დედა, კმარა ამაზე! როგორ შეგიძლიათ ეგ გამახსე-  
ნოთ! უუ... რა მოსაწყენია თქვენთან ცხოვრება. სულ ბრაზობთ. ვი-  
ზე ბრაზობთ? საკვირველია პირდაპირ...

ცელოვანიევა — აბა, აბა! შენ თავს დახედე... თვითონ რო-  
გორი ხარ? (მიიმალა კუთხეში. პავლა გაღიზიანებული გაწევს გიტარას. ტერას-  
ზე ჩამოდის შოხინი ამანათებით).

პავლა — ვინ გნებავთ?

შოხინი — არავინ, შაქარი მოვიტანე.

პავლა — თქვენ შოხინი ხართ?

შოხინი — დიან შოხინი! უფროსი ტყისმცველი.

პავლა (ჩუმად). ეს თქვენ მოჰკალით კაცი?

შოხინი — (ყოყმანის შემდეგ). დიან, მე!

პავლა — დამერთო ჩემო, თქვენ უბედური...

შოხინი — (ჩუმად). მე გამამართლეს...

პავლა — ვანა ეს სულ ერთი არ არის? თქვენ თავს თქვენვე  
ხომ ვერ გაამართლებთ... როგორ ჩაიღინეთ?

შოხინი — (გაჯავრებული). ცულით... ყუით...

პავლა — არა, ეგ კი არა...

შოხინი — სად დაედო? (ალაგებს მაგიდაზე. ლაპარაკობს ჩქარა და მკვახელ). ცხრაას შვიდ წელში მაშ რას სჩადიოდნენ? ჩამოდოდნენ, სხვის ტყეს ჩეხადნენ.

პავლა — სცემდით?

შოხინი — სწორედ იმიტომ ვარ დაქირავებული...

პავლა — თხ, ღმერთო ჩემო! განა შეიძლება ფიჩხის გულის-თვის კაცის მოკვლა?!..

შოხინი — უფრო პატარა მიზეზის გამოც ვკლავდით...

პავლა — (სიბრაღულით უყურებს. ბავშვური ხმით იძახის). დედიკო!

შოხინი — (ნელა და განაწყენებით). ტყუილად შფოთავთ... მე ხომ არაფერი... (სახლში ხმაურია. შოხინი მიიხედავს. უცებ გაიქცევა. გამო-დის ანტიპა, დაღლილი, მტერიანი).

ანტიპა — (ათვალიერებს). ვინ გაიქცა?

პავლა — შოხინი...

ანტიპა — რატომ?

პავლა — არ ვიცი.

ანტიპა — მიხეილი სად არის?

პავლა — ალბათ თავის ოთახში.

ანტიპა — (ჩამოვიდა, ხელი მოხვია მხრებზე). რატომ ხარ მოწყე-ნილი, ა?

პავლა — ამ შოხინმა...

ანტიპა — რა?

პავლა — მან ხომ კაცი მოკლა...

ანტიპა — (მოიღუშება). დიახ, მოკლა სულელმა! ვეჭილი დაუქი-რავებია და გაამართლეს. ახლა ის ჩემი ერთგული ძაღლია... თუ გინდა, შემიძლია გაეგდო...

პავლა — ოჰ, არა! მაშინ ის მე...

ანტიპა — აბა, აბა, გეყოფა!

პავლა — მაშინ სხვას... არ გააგდო!

ანტიპა — ეჰ! გიყურებ, ბევრი სიტყვა მადგება ენაზე და ვერ მითქვამს კი... ოჰ, უსიტყვოდ რომ მიხვდებოდე...

პავლა — (მორცხვად). მივხვდები, მადროვეთ...

ანტიპა — (ამოიხარა). მაგრამ იცოდე: ამ ქვეყნად ცოტა დრო დამრჩენია. რადგან ხანმოკლე სიცოცხლე მაქვს, ამიტომ მინდა, რომ ყველა ჩემი სურვილი ჩქარა სრულდებოდეს...

პავლა — აი, თქვენზე ამბობენ, რომ გამოიცვალაო.

ანტიპა — (მოღუშული). მე? როგორ თუ გამოვიცვალე? რატომ?

პავლა — არ ვიცი, რატომ...

ანტიპა — ვინ ანაობს?

პავლა — ხალხი...

ანტიპა — ხა-ლ-ხი. (დაუსტვენს).

პავლა — საქმეები მიატოვეთ.

ანტიპა — (ჩაიცივნებს). საქმე ჩემია და, მინდა — მიეტოვებ, მინდა — არა. (ერთხანს უყურებს. მოეხვევა). მიკვირს შენგან ასეთი სი-ტყვები. ბავშვი ხარ, საქმეზე კი ლაპარაკობ.

პავლა — (ჩუმად). იმასაც ამბობენ, მთელი საქმეები დეიდა სო-ფიამ ჩაიგდო ხელშიო...

ანტიპა — (აენთება, გაბრაზებული). თუ გავიგე, ვინ ამბობს, თავს წავაცლი. დიახ! შენც ამ საძაგლობას ნუ იმეორებ. გიბრძანებ! გეს-მის? მე ჩემს დასთან ვერაფერ ვერ წამაჩხუბებს, — ვერ მივართვი! (ნელა მოიცილებს). უყურეთ ერთი, სად უმიხვნებენ?

პავლა — (ნაწყენი ნელა სცილდება). აი, უკვე გაბრაზდით, და კიდევ მეუბნებით, რომ გელაპარაკოთ ყველაფერზე, რასაც ვფიქრობ.

ანტიპა — (უცებ ხელს სტაცებს მხრებში). სთქვი, ყველაფერი სთქვი! არ გეწყინოს. ეს ისე, გულს მაკლია და იმიტომ. ილაპარაკე! ოლონდ შენი სთქვი და არა სხვისი... სხვისი სიტყვა ბრაზისა და შურისგანაა ნაკარნახევი. ადამიანები უბედურები და უღონონი არი-ან, ამიტომაც შურიანობა და სისუსტე ახასიათებთ.

პავლა — აი მიშა, მართალია, სუსტია, მაგრამ არც შურიანია და არც ბრაზიანი.

ანტიპა — (უკან დაიხვეს). რაო? ის რათ ახსენე?

პავლა — იმიტომ, რომ მართალს არ ამბობთ ადამიანებზე.

ანტიპა — მართალს არ ვამბობ? იმიტომ რომ შეილია. აი, რა-შია საქმე.

პავლა — (შეწუხებული). ვეთაყვა, არ იფიქრო...

ანტიპა — (ჩასჩერებია. აჩქარებით). რა არ ვიფიქრო?

პავლა — (დარცხენილად). რასაც ხუთშაბათს ამბობდით... მე სრულიადაც არ მაინტერესებს ის...

ანტიპა — (მოეხვევა. ჩაყურებს თვალებში). მაგაზე არ გეუბნები. არა, ღმერთმანი! მე შენი მჯერა... სთქვი და გათავდა! გმადლობთ! მიყვარხარ, პავლა. ისე მიყვარხარ, ლამის დამახრჩოს ამ გრძნობამ. წავიდეთ, ტბისკენ წავიდეთ და იქ გაყოცბე...

პავლა — (ჩუმად). რაღა დღისით, არ ვარგა ასე!

ანტიპა — (მიყვას). ვარგა, ვარგა! მოდი, ჩემო კარგო!.. მოდი ჩემი საღამოს ნათელი განთიადო!

(ავიღწენ ტერახაზე. გამოდის ხევერნი. მოხუკავს თვლებს და ისე უუარებს მათ. სტეპკას მოაქვს ვერცხლის ჭურჭელში ჩაცეპული ბოთლი).

სოფია — (გამოდის). აბა, განაგრძეთ...

ხევერნი — თქვენ დღეს ძალიან მხიარული ხართ, ეს მე მაწუხებს.

სოფია — მართლა? თქვენ უფრო მოწყენილი ქალები მოგწონთ?

ხევერნი — ოო, თქვენ კარგად იცით, ვინც მომწონს...

სოფია — (ღიმილით). უფრო მდიდარი რომ იყო, უფრო სერიოზულად მოგელაპარაკებოდით. არ გეწყინოთ!

ხევერნი — (მოიჭმუნა). ეს თქვენი ძალიან ძვირფასი თვისებაა — პირდაპირობა. მაგრამ მდიდარი შევიქნები. მე უკვე მდიდარი ვარ. მე კარგად მესმის, რომ არსად ისე არაა საჭირო იყო მდიდარი, როგორც რუსეთში, სადაც მხოლოდ ფული იძლევა დამოუკიდებლობას, პატივისცემას. ორმოცი წლის რომ ვიქნები, ასი ათასი მექნება, ახლა კი ოცდაათობმეტი წლისა ვარ.

სოფია — ზედმეტი არითმეტიკა შეგაქვთ თქვენს ცხოვრებაში.

ხევერნი — ჰო? ეს აუცილებელია. თვლა უნდა იცოდეთ, თუნდაც იმისთვის, რომ ორმოცდაათი წლისამ ოცი წლის ქალი არ შეირთო. ასე არასოდეს არ შეიქმნება ოჯახი და, შეიძლება, საქმეც წახდეს...

სოფია — (ცოვაღ). თქვენ ასე ფიქრობთ?

ხევერნი — ოჰ, დარწმუნებული ვარ! დაგვიანებულ ცოლქმრობას რუსეთში მუდამ ცუდი ბოლო აქვს. როდესაც ადამიანს შინ მიეჩქარება, საქმე ფუჭდება. ამ სიჩქარემ შეიძლება ავნოს მესამე პირთა ინტერესებს.

სოფია — ჩემსას, მაგალითად...

ხევერნი — თქვენსას. ჩემსას აგრეთვე... (გამოდის მიხეილი. მიესალმა ხევერნის, დაისხა ქიქარაში ღვინო, ჩამოჯდა საფეხურზე და სინჯავს ღვინოს შუქზე. ხევერნი აღმაცერად უაუროებს. სოფია ეწევა პაპიროსს და უთვალავოებს მათ).

ხევერნი — მიშა, ამ დღით ითევზავე?

მიხეილი — ვითევზავე!

ხევერნი — მერე?

მიხეილი — დავიჭირე!

ხევერნი — ბევრი?

მიხეილი — ერთი ქორჭილა.

ხევერნი — დიდია?

მიხეილი — გირვანქა იქნება.

ხევერნი — ძალიან ცუდია. არაფერს არ მიაქვს იმდენი დრო, რამდენიც თევზაობას. (სოფიას). გუშინ თქვენი თავადაზნაურების წინამძღოლს ვებასე. ძალიან უცნაური პიროვნებაა.

სოფია — მართლა? რატომ?

ხევერნი — ძალიან უცნაურია-მეთქი. ევროპაშია ნამყოფი. აინტერესებს ხელოვნება. უნახავს მუზეუმები და ერთხელაც არ ყოფილა რეისტაგში. მას არ ესმის, რომ სოციალიზმი ისტორიული მოვლენაა და დსაცინის იმას, რის შესწავლაც საჭიროა. მარტო მესაკუთრე ინდივიდუალისტის შიშველი ინსტიქტით ვერ დაამარცხებს სოციალიზმს. წარმატებით რომ იბრძოლო, საჭიროა იცნობდე მტერს. ეს ასეა.

სოფია — (ჩაფიქრებულ). არც მე მაინტერესებს სოციალიზმი...

ხევერნი — ოჰ, ქალისთვის ეს საველდებულო არ არის. დიასხე უცნაური კაცია თავადაზნაურთა წინამძღოლი. ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა თავადაზნაურების პატიოსან დამსახურებაზე რუსეთის წინაშე, ისე ლამაზად! მაგრამ ორი ათას ხუთასი მანეთი რომ შესთავაზო, გულს ადვილად შეიცვლის...

სოფია — (სიცილით). რატომ სწორედ ორი ათას ხუთასი?

ხევერნი — ეს ისე, მაგალითისათვის...

სოფია — თქვენ შესთავაზეთ?

ხევერნი — (შკაბად). ა-არა, რისთვის? (მიხეილს). თქვენ მეგობრულად ხართ პავლა ნიკოლაევისასთან, ხომ?

მიხეილი — ძალიან კარგი ადამიანია — პატიოსანი და კეთილი.

ხევერნი — მართლა? სასიამოვნოა, მაგრამ უმეტესობა რუსებისა, ვფიქრობ, სუსტი ხასიათის გამო არიან კეთილნი.

მიხეილი — არ ვიცი, თქვენ უკეთ ხედავთ. (ბალიდან ცალ-ცალკე მოდიან ანტიპა და პავლა. ორივე ჩუმად არიან. ყველანი გაჩუმდნენ მათ დანახავზე).

ანტიპა — (დაბღვერილი ბუზღუნებს). როდესაც გულში ცეცხლი არ ანთია და მხოლოდ ბეჭუტავს, ეს სიცოცხლეს არ ნიშნავს...

პავლა — (დაღლილი). ხან მეუბნებით სულელი ხარო, ხან ნუ მსჯელობო.

ანტიპა — (ნაწყინი). ეხ, უნდა მიხვდეთ, რომ სხვა რამეს გეუბნები! (დაინახავს შეილს. წელში გაიმართება. შკაბად ეკითხება). უწყისი მზად არის?

მიხეილი — ჯერ არა.

ანტიპა — რატომ? მე ხომ გითხარი.

მიხეილი — ჩერნორამენსკის აგარაკიდან ანგარიშები არ მოუტანიათ...

ანტიპა — როგორ თუ არ მოუტანიათ? სტყუი!  
სოფია — ანგარიშები მე მაქვს. ნუ ყვირო! უნდა შევამოწმო.  
ანტიპა — (ადის ტერასაზე). შენ მუდამ ექომაგები, სადაც საჭირო არ არის! რაო, შემოწმება თითონ არ შეუძლია? (სოფია რაღაცას მკაცრად უჩურჩულებს. ის აუზღუხებს).  
ხევერნი — (მავლას). როგორ ბრძანდებით?  
პავლა — გმადლობთ. კარგად...  
ხევერნი — ძალიან მოხარული ვარ.  
პავლა — სერიოზულად ამბობთ?  
ხევერნი — რას?  
პავლა — თქვენ სერიოზულად გახარებთ, როდესაც ადამიანები კარგად არიან?  
ხევერნი — (გაკვირვებული). რასაკვირველია! აბა სხვაგვარად როგორ? უეჭველად. როდესაც ყველანი კარგად არიან ჩემს გარშემო, მე მოგებულნი ვარ...  
პავლა — რა უბრალო და სწორი ანგარიშია.  
ხევერნი — ოო, მე ძალიან მიყვარს ყველაფერი უბრალო. სწორედ ისაა ნამდვილი.  
ანტიპა — (ხევერნის). წავიდეთ, გეგმა ვნახოთ...  
ხევერნი — დიდი სიამოვნებით.  
ანტიპა — შენც ჩვენთან წამო, მიხეილ. სოფია, იცი, წინამძღოლისგან ტყე ვიყიდეთ.  
სოფია — არა, არ ვიცი.  
ანტიპა — (ხევერნის). რატომ არ უთხარი კომპანიონს?  
ხევერნი — (მოიღუშება). დარწმუნებული ვიყავი...  
სოფია — (ძმას). რამდენად?  
ანტიპა — ოცდასამად...  
სოფია — თვრამეტზე მეტს რომ არ აძლევდი?  
ანტიპა — არ მინდოდა, მაგრამ იძულებული გაეხდი...  
სოფია — რატომ?  
ანტიპა — ახალი კონკურენტი გამოჩნდა. ვიამბობ. წავიდეთ... მიხეილ... მიხეილ, წამოდი! (გადასწრის ხევერნი მიჰყვება უკან. სოფია ჩაფიქრებული ეწევა პაპიროსს და თვალყურს ადევნებს ხევერნის. პავლა თავჩაღუნული მიყუდებულა მოაჯირზე).  
სოფია — რათ მოგიწყენია?  
პავლა — დავიღალე.  
სოფია — რაზე საუბრობდით?  
პავლა — ისევ იმაზე... სულ იმას მეუბნება, როგორ ვუყვარვარ... მე ხომ ვიცი ეს! ის კი სულ იმეორებს და იმეორებს...

სოფია — მოდი ჩემთან. ეჰ, შე ჩიტუნავ!  
პავლა — არა, მართლა ხომ არ შეიძლება მარტო ერთი და იგივე იძახო! მიყვარხარ... მიყვარხარ...  
სოფია — ჩემო შეილო, ძალიან ცუდია, თუ არ შეიძლება მხოლოდ ამაზე ლაპარაკი...  
პავლა — ყველა მამაკაცები ასეთი არიან. რა უცნაურად გიყურებს!  
სოფია — ვინ?  
პავლა — გუსტავ ეგორიჩი.  
სოფია — ჰო! ის ყველაფერს ასე უყურებს. ბატონ-პატრონით.  
პავლა — მოგწონს გუსტავ ეგორიჩი?  
სოფია — რა უშავს. ჯანმანგარი კაცია. მაგასთან კარგია მატარებლით მგზავრობა. არსად არ დაიგვიანებ.  
პავლა — არ მესმის. ხუმრობ ალბათ.  
სოფია — შენ ბევრი რამ არ გესმის, ჩემო კარგო...  
პავლა — (ნაღვლიანად). ჰო, ყველაფერი ისე როდი ყოფილა, როგორც მეგონა...  
სოფია — შენ ერთი ეს მითხარი, რატომ გაყევი ცოლად ჩემ ძმას?  
პავლა — მე მეგონა სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე. იცი, მე ყველაფრის მეშინია... სულ რაღაცას ველი. თორმეტ წლამდე მამა მაშინებდა. მერე ხუთი წელიწადი მონასტერში გავატარე. იქაც სულ შიშის ქვეშ ცხოვრობენ. პირველად გვეშინოდა, რომ გაგვეჭურდავდნენ. არეული წელიწადი იყო. კახაკები იდგნენ ჩვენთან და ყოველ დამე სტვენდნენ. მთვრალეები მღეროდნენ. მონაზვნებს პატრის არ სცემდნენ და, საერთოდ, დიდი უწესრიგობა იყო. ყველანი არღვევდნენ წესრიგს. ბრაზიანები იყვნენ. ერთმანეთის არ ეშინოდათ. ღვთისა კი ეშინოდათ, არ უყვარდათ. ჰოდა, მეც ვიფიქრე, მძლავრი მფარველი უნდა მყავდეს თორემ მარტო ვერ ვიცხოვრებ, როგორც საჭიროა-მეთქი.  
სოფია — (ჩაფიქრებული). ანტიპა მძლავრ მფარველად მიგაჩნდა?  
პავლა — თვითონ მითხრა. მიშას კი არაფერი არ უნდა. ის უცხოა ყველასათვის. წინათ სულ რაღაც ხარბები მეძალეობდნენ...  
სოფია — (ვალერსება). შენზე პირველად ცუდი ვიფიქრე გახსოვს, პავლა?  
პავლა — მახსოვს. არა მე ცუდი არ მიყვარს. მეშინია მისი. წინათ შენ ძალიან მკაცრად მექცეოდი და მეც ამიტომ ჩუმი ვტიროდი.

მინდოდა შენთვის შეთქვა, რომ არა ვარ ცუდი. ხარბი, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა.

სოფია — ეხ, ჩემო გოგონა, ღმერთი იყოს შენი შემწე... ეგრე ძალიან გაგიჭირდება...

პავლა — მე უკვე გამიჭირდა! აქ შოხინი დადის. ადამიანი მოკლა და ისე დადის, ვითომც არაფერიყო.

სოფია — თავი გაანებე, ნუ გეშინია! ის ბოროტი კი არა, უბედურია.

პავლა — მე კი მინდოდა მეცხოვრა მშვიდად, რომ ჩემს ირგვლივ ყველა გულკეთილი ყოფილიყო, რომ გული ყველას სიხარულით ჰქონოდა სავსე და ერწმუნა, რომ არავისათვის ცუდი არ მინდა.

სოფია — ამას არ დაიჯერებენ, არა!..

პავლა — რატომ? რატომ?

სოფია — (აღგება, დადის). არ დაიჯერებენ. შენ ძალიან კარგად სთქვი, რომ გული ყველას სიხარულით უნდა ჰქონდესო სავსე...

პავლა — ისევე როგორც დღესასწაულის წინ: ყველაფერს გააკეთებენ, მიაღებენ, დაიღლებიან და სიხარულით დაელოდებიან ნათელ დღეს.

სოფია — დღესასწაულამდე შორსაა, ჩემო კარგო, და მისთვის ცოტაა გაკეთებული...

პავლა — ღმერთო ჩემო! დეიდა სოფია, მასწავლეთ!

სოფია — რა?

პავლა — რომ უკეთ ვიცხოვრო ადამიანებთან...

სოფია — თითონ არ ვიცი... არ ვიცი! სიცოცხლე ილევა სისულელეებში, ბურანში.

პავლა — მაინც რა გინდა?

სოფია — მე? (გაჩერდა, ხმადაბლა, მაგრამ ძლიერად). მე მინდა შევცოდო, სიგიჟემდე მივიდე, დაეარღვიო ყველა კანონი, ყველაფერი აუურ-დაუურიო და მერე, როცა ადამიანებზე მაღლა დავდგები, ჩაუვარდე მათ ფეხქვეშ და ვუთხრა: ძვირფასო ადამიანებო, ჩემო საყვარელო ადამიანებო! მე არა ვარ თქვენი მბრძანებელი-მეთქი. მე ყველაზე სულმდაბალი, ცოდვილი ვარ; თქვენ არ გყავთ ბატონი, თქვენ არ გჭირდებათ ბატონა.

პავლა — (შეშინებული. ჩუმად). რას ამბობ? რას?

სოფია — რომ გავათავისუფლოთ ადამიანები ერთიმეორის მიშისაგან... რომ არავისი არ გვეშინოდეს. ახლა კი, ყველა შეშინებულია და დაჩაგრულ-დაბეჩავებული, შენ თვითონ ხედავ ამას. არა-

ვის არ შეუძლია თქვას თავისი სიტყვა ბოლომდე... (ანტიპა დგას კარებში და ყურს უდგებს სოფიას ლაპარაკს).

პავლა — ეს... ეს მესმის! ასე ხომ შეიძლება დაღუპო შენი თავი?

სოფია — ადამიანის გულისთვის ღმერთი დაიღუპაო, ამბობდა შოხინის მამა.

ანტიპა — რაზე მსჯელობთ?

პავლა — ვაიმე!

ანტიპა — (განაწყენებული მიუახლოვდება). რის შეგეშინდა? თუ დამნაშავე არ ხარ, არც უნდა შეგეშინდეს. რას ლაპარაკობთ?

პავლა — ისე... არაფერი...

ანტიპა — (დას ჩუმად). ცოტა უნდა ილაპარაკო... (სოფია დადის. მაღას აღეღებას, არ უყურებს მათ).

პავლა — (აღერსით). ცოტა უნდა იყვიროთ... თქვენ კი სულ ყვირით. ასე არ უნდა...

ანტიპა — (ნაზად). მე ბრაზით კი არ ვყვირი, ხმა მაქვს ასეთი. ჩაიღვლიოთ, რას იტყვი, დიასახლისო? წადი, საქმე მოაგვარე... გაშალონ სუფრა... საუზმეც მოამზადონ... წადი, ძვირფასო! (პავლა მიდის. ანტიპამ თვალით გააცილა და მერე დას ნაწყენი კილოთი მიმართა). შენ აფუჭებ მას. (სოფია ჩუმად ჩაუვლის და დაქინებით იმეორებს). გეუბნები, მიფუჭებ-მეთქი მეუღლეს.

სოფია — (უცებ მკვახელ). გაჩუმდი!

ანტიპა — (მოშორდა). მოიცა... რა მოგდის?

სოფია — შენ ეს მითხარი, ხომ მშვიდად, ტკბილად ცხოვრობ ახალგაზრდა ქალთან?

ანტიპა — (ნელა ეშვება სავარძელში). რა? შემოგჩივლა?

სოფია — (მშვიდად). არა. დამიჯერე, რომ არა! ბოდიში, ცუდ გუნებაზე ვარ... რაღაც მძიმე მაწევს გულზე... ბოდიში.

ანტიპა — (ჩუმად). მე კი შეგეშინდა. ღმერთო, მიხსენი! მე ისე მიყვარს პავლა, რომ ენით ვერ გამომოთქვამს!

სოფია — (ისევ დადის). ამას ბედნიერება არ მოაქვს არც შენთვის და არც იმისათვის...

ანტიპა — ოჰო... ჯერ მოიცა! (სიჩუმეა). სოფია!

სოფია — რა იყო?

ანტიპა — როგორ შეგეწყო მიხეილს, ა?

სოფია — (გაჩერდა მის პირდაპირ). შენ ასეთ რამეებს თავი გაანებე, გესმის? ნუ შთაგონებ მაგ აზრს. ნურც შენს თავს და ნურც სხვებს! ხევრნი სად არის?



ანტიპა — იქ არის... გეგმებშია ჩამძვრალი... ერთი ეგეც.. მო-  
მაბეზრა თავი!

სოფია — შენ მისთვის ძალზე სასარგებლო კომპანიონი გახ-  
დები.

ანტიპა — (გონს მოვა). როგორ?

სოფია — ისე, თავი არ გაისულელა!

ანტიპა — აი თურმე რა! მე კი ვფიქრობდი, რომ შენ მასთან...

სოფია — შენ სხვას ფიქრობ.

ანტიპა — (ამოიხრება). მაგას ვინ გაიგებს... სოფია!

სოფია — მესმის! პავლასთან მიშას ნუ უყვირი.

ანტიპა — აბა, აბა... გულის გამაწყალებელი ყმაწვილია...  
შეხედურებაც ეგაა, რომ არ იცი, რისთვის ცხოვრობს!

სოფია — შენ შენს თავზე იფიქრე...

ანტიპა — (ჩაფიქრებული). არა, პავლას არ ვაწყენინებ...

სოფია — ნურც დედამისს დასცინი...

ანტიპა — არ მიყვარს ეგ დედაკაცი...

სოფია — (მიეყრდნობა მოაჯირს). დავიღალე...

ანტიპა — (წამოხტება. მივა მასთან). რა მოგივიდა? წყალი მო-  
გიტანო?

სოფია — (მიეყრდნობა). ცუდადა ვარ...

ანტიპა — რატომ? ღმერთო ჩემო! სოფია, რაშია საქმე?

სოფია — მადროგე... დაიცა, ღმერთო...

ანტიპა — (ხელს მოხვევს). ეხ, შე ჰკუთის კოლოფო! წამო, დაწე-  
ქი, დაისვენე!.. (მიყავს. ბალიდან გამოდის ტარაკანოვი და ტერასზე მაგიდას-  
თან გაჩერდება. მიხეილი ასხამს ღვინოს და სვამს).

ტარაკანოვი — წავიდა გერმანელი?

მიხეილი — ის შვედია, შეიძლება ბერძენიც.

ტარაკანოვი — ეგ სულ ერთია — მაინც უცხოა. წავიდა?

მიხეილი — დარჩება ვახშმად...

ტარაკანოვი — ჰმ... საკვირველია!

მიხეილი — რა?

ტარაკანოვი — ნუთუ არავის არ ესმის, რომ ეგ გაიძვერაა?

მიხეილი — თქვენთვის ყველა გაიძვერაა?

ტარაკანოვი — არა, ყველა არა, მაგრამ ათ კაცში ცხრა კაცი  
მაინც გაიძვერაა, მეათე კი სულელი. სად არის სოფია ივანოვნა? ის  
ყველაფერს ხედავს...

მიხეილი — არ ვიცი, არ ვიცი!.. (ჩამოჯდება საფეხურზე და თუ-  
თუნს გააბოლებს. ტარაკანოვი ბუტბუტით გადის. შემოდის პავლა. ღიმილით გა-  
ჩერდება მიხეილის უკან და მანდილის ბოლოთი კისერში უღიტინებს. მიხეი-

ლი არ მიბრუნდება და უხეშად ეუბნება). ფრთხილად, მამა დაინახავს და  
გული მოუვა.

პავლა — (ეწყინება). გახუმრებაც არ შეიძლება... მე ახალგაზრ-  
და ვარ და მომწყინდა...

მიხეილი — ყველას მოსწყინდა...

პავლა — ხომ არის სადმე მხიარული ცხოვრება!

მიხეილი — ეძებეთ!..

პავლა — წავიდეთ ბაღში!..

მიხეილი — მე კანტორაში უნდა წავიდე. აი, დავამთავრებ  
პაპიროსს და წავალ, რათა მოვიპოვო პური ჩემი ოფლითა და გარ-  
ჯითა...

პავლა — (ცბეზე ჩადის). მაშ მე მარტო... აი წავალ და ვივლი  
ერთ კვირას, ერთ თვეს... მშვიდობით. შეგეცოდებით?

მიხეილი — მე დიდი ხანია, რაც მეცოდებით...

პავლა — ტყუილია! არა მჯერა! (მიდის. მოიხედავს და ემუქრება  
თითო). ტყუილია! (მიხეილი პირქუშად გააყოლებს თვალს. მერე აჭრობს პა-  
პიროსს და დგება. ანტიპა მიხეილის წინ აიტუხება).

ანტიპა — საით?

მიხეილი — კანტორაში...

ანტიპა — რომელ ტყუილზე ამბობდა პავლა?

მიხეილი — არ ვიცი... ვერ მივხვდი...

ანტიპა — ვერ მიხვდი? (უხუტრებს დაბღვერილი. ეტყობა უნდა რა-  
ღაც უთხრას. მოსცილდება) გასწი! (თავდახრილი ნელა წავა პავლასკენ. კუთხი-  
დან იუჟრება ანა მარკოვნა და ემუქრება მუშტით).

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მისამდე

განიერი კაბინეტი. დიდი საწერი მაგიდა. მარჯვნივ ბუხარი. მარცხნივ ორი კარი: პატარა კარი სოფიას საწოლი ოთახისა, ხოლო მეორე კარი შიდა ოთახებისა უკანა კედელში ორი ფანჯარა და ტერასის კარებია დატანებული. სოფია ქალაქებით ხელში დგას მაგიდასთან. მურატოვი წასვლას აპირებს. დაჰმუჭუნელ ქულს იბერტყავს ფეხზე. ფანჯრებში მოჩანს შემოდგომის მოსაწყენი ღღე-შინების იქით ირხევიან შიშველი შტოები.

სოფია — (ჩაფიქრებული). კიდევ ერთი კითხვა...

მურატოვი — (თავს დახრის). ათი იყოს...

სოფია — მითხარით პირდაპირ და უბრალოდ, რამ გაიძულათ შეგეგროვებინათ ეს ქალაქები?

მურატოვი — ჩემმა გრძნობამ...

სოფია — გრძნობებს თავი დავანებოთ...

მურატოვი — აბა მაშინ რა გითხრათ? (მხრებს აიჩეხს, ჩაეცინება). ძალიან მკაცრად მექცევით. მოთმინება არ გყოფნით, მე არც კი დამისახელებია რომელმა გრძნობამ...

სოფია — ეჭვიანობის ხომ არა?

მურატოვი — წარმოიდგინეთ, რომ არა!

სოფია — სურვილმა ხომ არა, რომ უსიამოვნება მომაცუნოთ?

მურატოვი — არც ეგ. ვშიშობ, რომ იქნებ ვერ გითხარით ისე, რომ არ გაგაჯავროთ და რომ გასაგებიც იყოს. (ჩაფიქრდება). ალბათ ვერც მიხვდებით. მე თვითონ ცუდად მესმის, რაშია აქ საქმე...

სოფია — მაინც?

მურატოვი — (ამოიხრება). არის ჩვენს შორის რაღაც დავა... თქვენ როგორ ფიქრობთ? (სოფია უჩუმრად უდასტურებს და აკვირდება). არის ხომ? ჰოდა, ეს საბუთები იმის დამადასტურებელია, რომ მე სწორი ვარ და თქვენ შემცდარი.

სოფია — (ამოიხრება). რაღაც ორჭოფულად ლაპარაკობთ.

მურატოვი — ნება მიბოძეთ წავიდე...

სოფია — (ათვლიერებს). მშვიდობით! რატომ ხართ ასე მსუბუქად ჩაცმული? ქარია და შეიძლება გაწვიმდეს.

მურატოვი — (ჩუმად იცინის). ოო, ნუ სწუხდებით!

სოფია — რატომ იცინით?

მურატოვი — არის მიზეზი... არის, პატივცემულო სოფია, მე წავედი.

სოფია — მაპატიეთ, რომ არ გაცილებთ. შეივლით კანტორაში? თუ შეიძლება, გამოგზავნეთ ტარაკანოვი. (დაყარა ქალაქები მაგიდაზე და იმშრალებს ცხვირსახოცი თხლებს. მერე მაგრა მიიჭირა თითები თვალებზე. ბალიდან შემოდის ანტიპა, უჭედიფოდაა, გაბურძგვნილია, სქელი პიჟამო აცვია, უვილეტოდაა, პერანგის საკინძე გახსნილი აქვს, ფეხებზე თბილი ფოსტლები აცვია).

სოფია — (გაბრაზებული). საჭიროა იკითხო, შეიძლება თუ არა შემოსვლა!

ანტიპა — (გულგრილად). აი ახალი ამბავი... უცხო ხომ არა ვარ?..

სოფია — რა გინდა?

ანტიპა — არაფერი! (ათვლიერებს ოთახს).

სოფია — (დააკვირდება, შეებრალება). რას დაეთრევი აგრე გაბურძგვნილი?

ანტიპა — (ჩაჯდება სავარძელში ბუხართან). როცა მოგვკვდები, მომრთავ, მომკაზმავ.

სოფია — ოო, მაშ რაღა გიჭირს!

ანტიპა — არ მიყვარს ბატონების ეს ძველებური, დიდკაცური სახლები. სახლი კი არა, კუბოა. რაღაც თავისებური სუნიც აქვს. არ უნდა გადმოვსულიყავ. ყველასათვის უცხო შევიქმენ... ყველასათვის...

სოფია — გაჩუმდი, გეთაყვა, დრო არა მაქვს მოვისმინო ეგ სისულელები. (შემოდის ტარაკანოვი. სოფია აწვდის სქელ საქალაღს მაგიდასთან). მატყვი ილიჩი, გადაარჩიეთ, გეთაყვა, ყველა საბუთები და ანგარიშები ჩერნორამენსკის აგარაკისა და აგრეთვე უსკისა. აქვე, ახლავე... (ჯდება მაგიდასთან და წერს. ტარაკანოვი მიუჯდა ბუხართან მდგარ მაგიდას. სათვალე გაიკეთა. ანტიპა უყურებს და ელიმება).

ანტიპა — რას წერენ გაზეთებში?

ტარაკანოვი — ჩინეთი ილაშქრებს...

ანტიპა — ვის წინააღმდეგ?

ტარაკანოვი — ჩვენს წინააღმდეგ გერმანელების წაქეზებით...

ანტიპა — არ გიყვარს გერმანელები?

ტარაკანოვი — არ მიყვარს.

ანტიპა — რატომ?

ტარაკანოვი — ჩვენზე ჭკვიანები არიან და იმიტომ.

ანტიპა — ჭკვიანებს პატივს უნდა სცემდე.

ტარაკანოვი — პატივს ვცემ, მაგრამ არ მიყვარს.

ანტიპა — უცნაური ხარ, ძმაო...

ტარაკანოვი — ჩვენი ვინც ჭკვიანია, უცნაურია.

ანტიპა — ეს ერთის მხრივ, მართალია! (ჩაფიქრდება). თუნდაც შენ. ძალიან ჭკვიანი არ ხარ, მაგრამ უცნაური ხარ.

ტარაკანოვი — ეგ არ არის მართალი.

ანტიპა — ვითომ? მაშ რათ გაიხადე მუნღირი, სამსახურს რათ დაანებე თავი?

ტარაკანოვი — რამდენჯერ ამიხსნია ეს შენთვის?

ანტიპა — აგიხსნია, მაგრამ ვერ ახსენი.

ტარაკანოვი — ნათქვამია, მოშორდი ბოროტებასო და მით სიკეთეს შექმნიო.

ანტიპა — (დაარტყამს ხელს გულს საფარძლის სახეურს). სისულელეა... ვერაფერსაც ვერ შექმნი. ბოროტებას რომ მოეშვა, ვერაფერს ვერ შექმნი, ტარაკანი! არა, ჩასდიე ბოროტებას ძირამდე, გულამდე, დაანარცხე მიწაზე, გასთელე, მოსპე! ნუ დაემორჩილები, რომ შენი რიდი ჰქონდეს. აი ასე უნდა. ხომ სწორად ვამბობ, სოფია?

სოფია — სწორეა. ხელს ნუ მიშლი!

ტარაკანოვი — ეს მხოლოდ ყვირილია, სიტყვების რახარუხი. აი, თავს დაგატყდება ბოროტება და თვითონ გაექცევი.

ანტიპა — არა, მე მაგისთანა არა ვარ. მე, ძმობილო, კარგად ვიცი, რომ ცხოვრება მუშტი-კრივია. არა, მე არ ვაგიქცევი.

ტარაკანოვი — მაგასაც მოვესწრებით.

სტეპკა — (მარცხენა კარებიდან). ანტიპ ივანიჩი, გლეხები მოვიდნენ.

ანტიპა — რომელი?

სტეპკა — კამენსკელები...

ანტიპა — მე მაგათ ვუჩვენებ, მაგ მამაძაღლებს!

სოფია — დაიცა, ეგენი არ არიან დამნაშავენი. მე ვიცი, რომ ეგ ხევერნის უბრძანებია...

ანტიპა — არა, მართლა?

სოფია — ჰო, ნამდვილად!

ანტიპა — ჩერჩეტი გერმანელი! (მიღის).

ტარაკანოვი — ჩვენზე საზრიანი მაინც არის.

სტეპკა — სოფია ივანოვნა, მომეცი წიგნი...

სოფია — მიშას სთხოვე.

სტეპკა — გამომავდო. ახალგაზრდა დიასახლისს ჩამღერის ყურში.

სოფია — ეგ რა სთქვი?!

სტეპკა — სხედან დივანზე გვერდი-გვერდ და უმღერის.

სოფია — წადი, წადი, ნუ როშავ სისულულეებს!

სტეპკა — მე მხოლოდ შენ გეუბნები. (გაღის).

ტარაკანოვი — (ბუტბუტებს). ახალგაზრდა დიასახლისი! აბა სადაური დიასახლისია?

სოფია — დიდი ხანია იცნობთ მურატოვს?

ტარაკანოვი — მე? ათი წელიწადია.

სოფია — როგორი აზრისა ხართ მასზე?

ტარაკანოვი — (უაუროებს სათვალეების ქვემოდას). წინათ, დიდი ხნის წინათ კარგი აზრის ვიყავი. თავის დარგში, სატყეო საქმეში, ბევრი კარგი საქმე წამოიწყო. ახალი ნერგები ჩამოიტანა და რა ვიცი კიდევ რა. გლეხებს ფინხს აძლევდა, გასუფთავა ტყე, გამოაშრო, მერე უცებ თითქოს რაღაცამ უკბინაო, გამხეცდა, დაბრმავდა. ახლა ძალიან არასასიამოვნო პიროვნებაა. ხომ იცი, ჩვენი ხალხი ბურბუშელასავითაა, აბრაღლებს და დაიწვება. კვამლი დიდი იცის, სითბო და სინათლე კი — არა.

სოფია — (მაგიდაზე დაყრდნობილი გულისყურით უსმენს). რა არ მოგწონს მისი?

ტარაკანოვი — მე? იგივე, რაც სხვებს... არავინ არ უყვარს. აჯავრებს ყველას, ერთმანეთს გადაჰკიდებს, ჭორიკანაა... ქალების საკითხშიც უსინდისო... ჭკვიანი კი არის...

პავლა — (შემოდის). შეიძლება?

სოფია — რა თქმა უნდა!

პავლა — ცივა ყველგან...

სოფია — უბრძანე დაანთონ ბუხარი.

ტარაკანოვი — (აძლევს ქაღალდებს). ინებეთ! შეიძლება წაიღე?

სოფია — გმადლობთ. გამოგზავნეთ სტეპკა და მიშაც.

პავლა — რატომ ხარ ასე მორთული?

სოფია — სტუმარს ველოდები.

პავლა — მიშამ ისევ ლექსი შეთხზა.

სოფია — კარგია?

პავლა — კარგია. ნაძვებზე.

სოფია — გადაკრულშია?

პავლა — (ამოიხრებს). დილიდან.

ცელოვანი ევა — (კარბში). რატომაც არა. ვაჟმა უნდა სვას თავდავიწყებამდე.

სოფია — ვითომ რატომ?

ცელოვანი ევა — აწყენინეს და იმიტომ.

სოფია — განა ცოტაა განაწყენებული?

ცელოვანი ევა — ჰოდა, ყველა სვამს. როგორ ფიქრობთ?.. რატომ სვამენ? მამაშენიც განაწყენებული იყო და იმიტომ სვამდა. ჰკვიანი იყო და არავის არ სჯეროდა. ამიტომაც მიჰყო ხელი თავისი ჰკუის თავნედლურად მტკიცებას, აი, ისე, როგორც მეტყვევებ. მას, რასაკვირველია, გასამართლება უნდა, ის კი უფრო თავნედლოა. განა აღამიანს ბებერი უნდა? აღამიანი ბავშვივითაა. ნეტა რისთვის მოვედო! ჰო, სოფია ივანოვნა, თქვენ აჩუქეთ სტეპკას ყვითელი ბაბთა?

სოფია — ვაჩუქე. მერე რა?

ცელოვანი ევა — მაშინ, არაფერი. სტეპკა დგას სამზარეულოში სარკის წინ, გაუბლანდავს ბაბთა თმებში და იპრანჭება.

პავლა — დედიკო, გაანებეთ თავი!

ცელოვანი ევა — მე რა? ნათქვამია, საკუთარ ქონებას გაუფრთხილდი და სხვისას კი — ერთიორადო. (შეშოდის სტეპკა).

ცელოვანი ევა — აი ეს ლამაზმანიც.

სტეპკა — მეძახოდით?

ცელოვანი ევა — (შიდის). რასაკვირველია, მეძახოდნენ. აბა როგორ შეუძლიათ უშენოდ ცხოვრება.

სოფია — ბუნხარში ცეცხლი დაანთე.

სტეპკა — (გარბის). არ ვუყვარვარ ბებიას... ძალიან ბრახიანია.

სოფია — კარგი გოგონაა.

პავლა — მარტო ეგ არის ამ სახლში მხიარული, ოღონდ ძალიან თამამია.

სოფია — (მივა მასთან). უთხარი ანტიპას მოსკოვში წაგიყვანოს...

პავლა — რატომ?

სოფია — ნახავ, როგორ ცხოვრობენ დედაქალაქში.

პავლა — (გულგრილად). კარგი, ვეტყვი.

სოფია — (ხელს დაადებს თავზე). რა, არ გინდა?

(შინათა ოთახიდან გამოვიდა მიხეილი, შეხედა მათ და ნელა ჩაეშვა საეპოქელში, თითქმის არ ჩანს ფარდის უკან. ზის და თვლებს).

პავლა — მგზავრობა? მინდა ვიძინო ერთი წლით, სამი წლით და, რომ გავიღვიძებ, ყველაფერი სხვანაირი იყოს...

სოფია — ეგ ბავშვობაა, პავლა! შენი ცხოვრება შენ თვითონ უნდა მოიწყო და არ ელოდო, რომ სხვები გააკეთებენ იმას, რაც შენი გასაკეთებელია.

პავლა — ნუ გამიჯავრდები, გეთაყვა.

სოფია — შენ ახალგაზრდა ხარ, გულკეთილი და აღამიანებიც გეცოდება, ხომ?

პავლა — ვიცი, რაც გინდა თქვა. სიმართლე გითხრა, მიშა, მე სრულიადაც არ მომწონს და მაინც მიყვარს, როცა ის ლაპარაკობს.

სოფია — (გაკვირვებული დაშორდება). მე მაგას არ გეუბნები, მაგრამ რაკი დაიწყე, გეტყვი — ცუდად გიჭირავს თავი მიშასთან! ბავშვი როდია და შეიძლება ყოველივე ეს ცუდად დამთავრდეს შენთვის.

პავლა — მაშ რა ვქნა? მიშამ გართობა იცის, მასთან არ მომწყინდება.

სოფია — წადი ანტიპასთან ერთად. მანამ მე მიხეილის საქმეებსაც მოვაგვარებ.

პავლა — იქნება დედასთან ერთად აჯობებს?

სოფია — გემძიმება ქმართან ერთად წასვლა? (პავლა მიეკრება სოფია თავს აუწვევს და უყურებს თვალებში). მესმის, ჩემო კარგო... ავი მითქვამს... მეც მყავდა ქმარი...

სტეპკა — (შემოვარდება). სოფია ივანოვნა, გერმანელი მოვიდა. რა საშინლად არის გამოპრანჭული!

სოფია — ესეც... (ხელს მოისვამს სახეზე). აბა, პავლა, დამტოვე ახლა!..

პავლა — (წამოდგება). ღმერთო ჩემო!.. როგორ მინდა გისურვო...

სოფია — გმადლობ, ჩემო კარგო! უთხარი, რომ მოვიდეს, სტეპკა. (რჩება მარტო. წიგნ დააფარა მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს და სარკესთან ისწორებს თმებს. დინახავს სავარძელში მიხეილს). მიშა! დიდი ხანია რაც აქა ხარ?

მიხეილი — დიდი ხანია...

სოფია — გესმოდა, რასაც ვლაპარაკობდით?

მიხეილი — მესმოდა რალაც... გერმანელი მოვიდაო. მონაზონი რალაცას იგონებდა...

სოფია — იგონებდა?

მიხეილი — რასაკვირველია! ის ხომ ყოველთვის იგონებს... ის ჯერ კიდევ ისე ცხოვრობს, თითქოს დედოფალას თამაშობსო. მე მისთვის თოჯინა ვარ, მამაჩემიც, შენც... მთელი სიცოცხლე ის ასეთი იქნება.

სოფია — იცი, ეგ მართალია!

მიხეილი — რატომ მეძახდი?

სოფია — ახლა აღარ მინდა. წადი, გეთაყვა!.. მერე დავიძახებ.

მიხეილი — (დგება). წავედი, გაყევი ცოლად ამ გერმანელს და გაგყვარე ყველანი აქედან... ყველანი, გაგდე სახლიდან რომანტიული მამაჩემიც თავის მეორე ახალგაზრდობასთან ერთად.

სოფია — კარგი ერთი! წადი!

მიხეილი — სსს... შენ სრულიად დამშვიდებული უნდა იყო... გამარჯობათ... ცივილიზაციავ და კულტურავ!

ხევერნი — (ჩაცმულია საზეიმოდ და მარცხენა ხელის თითზე უკეთაა ბრილიანტის ბეჭედი, ბრილიანტისეე ქინძისთავი ჩაბნეული აქვს ვალსტუხში. უხმოდ მიესალმება მიშას. სოფიას ხელზე კოცნის. მიჰყვება მას მაგიდისაკენ).  
თქვენ ალბათ მიხვდით, რატომ გთხოვდით დღეს... მიღებას...

სოფია — (ჯდება). მგონი, მივხვდი...

ხევერნი — ეს ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის...

სოფია — ჰო?

ხევერნი — ეს მათავისუფლებს ზედმეტი ახსნა-განმარტებისაგან. შეიძლება მოწვევა?

სოფია — როგორც ყოველთვის. (მიწვდის საფერფლეს და ასანთს).

ხევერნი — ცოტა არ იყოს, ვლელავ...

სოფია — წყალს ინებებთ?

ხევერნი — ოჰ, არა. ეს ბუნებრივი მღელვარებაა...

სოფია — თქვენ საზეიმოდ გამოიყურებით დღეს...

ხევერნი — ო, ნეტავი ჩემი აზრები შთაგაგონებდნენ ნდობას ჩემდამი...

სოფია — აი, გამაცანით ისინი და...

ხევერნი — ასეთი მიზანი აქვს დასახული ჩემს დარბაზობას თქვენთან. (ეწევა სიგარას). თქვენ კარგად იცით, რომ მე დიდ პატივს ვცემ თქვენს იდეებს. ისინი სრულიად უპასუხებენ ჩემს ამოცანებს.

სოფია — ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა თქვენგან.

ხევერნი — დიახ, მე ვლაპარაკობ გულწრფელად. თქვენ, რა თქმა უნდა, დამეთანხმებით, რომ ვიცნობ რუსეთს და რუს ადამიანებს. მე ბევრი რამის დანახვა ვიცი. თერთმეტი წელიწადია რუსებთან ვარ. მე შევისწავლე ისინი და დასკვნაც ასეთია: რუსეთი იტანჯება უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელი ადამიანების სიმცირით, რომლებმაც უნდა შეძლონ დაუსახონ თავის თავს მიზნები. მეთანხმებით?

სოფია — შემდეგ?

ხევერნი — დიახ, თქვენს შორის გამოჩენილი შეადგენენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან თავის თავში და თავის ძალაში. თქვენში ძალიან ბევრია მეტაფიზიკა და ცოტა მათემატიკა.

სოფია — თქვენ ეს არაერთხელ გითქვამთ...

ხევერნი — მე ასე ვფიქრობ. ახლა ვილაპარაკოთ თქვენზე, თქვენ ჰკვიანი და მტიცი ხასიათის ქალი ხართ.

სოფია — მადლობელი ვარ...

ხევერნი — ეს სიმართლეა! მე თქვენზე ალეგორიულადაც ვფიქრობ! სოფია იგანოვნა ახალი, სულთ ჯანმრთელი რუსეთია, რომელსაც შესაფერის პირობებში შეუძლია გააკეთოს დიდი საქმე. შეუძლია აკეთოს ძალიან ბევრი კულტურული საქმე.

სოფია — თქვენ გადაჭარბებით მაქებთ.

ხევერნი — ყოველივე ამას სერიოზულად მოგახსენებთ. ამიტომ იმ წინადადებას, რომელსაც მე თქვენ გთავაზობთ, ძალიან ღრმა აზრი აქვს. ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ცოლ-ქმრობა. დიახ! ჩემი ენერჯია და თქვენი... ოო! ეს იქნება კოლოსალური ამბავი! როდესაც ორ ძლიერ ადამიანს ესმის თავისი ამოცანა, ეს ძალიან... მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით რუსეთისათვის მაშინ, როდესაც მან უნდა საბოლოოდ მოიცილოს ყოველგვარი ოცნებები, მოჰკიდოს ხელი უბრალო საქმეს და დააყენოს თავისი თავი მყარ ნიადაგზე... თქვენი ძმა ვატაცებულა ოჯახური ცხოვრებით. ხელი შეუშვა საქმეს, რაზედაც მქონდა პატივი არაერთხელ მიმეთითებინა თქვენთვის, რადგან თქვენი ინტერესებისათვის ვზრუნავდი.

სოფია — თქვენ პირველად უხსნით სიყვარულს ქალს?

ხევერნი — (ოდნავ დაბნეული). მადროვეთ, ახლა ეგ საკითხი არ დგას! გრძნობებზე მე გელაპარაკეთ ოთხჯერ.

სოფია — ოთხჯერ? ვითომ?

ხევერნი — დიახ! მე მახსოვს პირველად — თავადაზნაურთა წინამძღოლის ბაღში დღეობაზე, მაშინ წვიმა და თქვენ ფეხები დაგისველდათ. მეორედ — ტბის პირას სკამზე. თქვენ მაშინ დამაბნით. მესამედ — ბაყაყებზე, რომ ისინი ყიყინებენ სიყვარულზეო.

სოფია — მესამე და მეოთხე მახსოვს...

ხევერნი — ეს, რასაკვირველია, სწორია, როცა ბაყაყებზე ლაპარაკობდით, მაგრამ მაპატიეთ, უადგილო ხუმრობა იყო! როდესაც ადამიანის გულს ხარბად უნდა...

სოფია — მოდით, შევწყვიტოთ ამაზე საუბარი, გუსტავ ეგორიჩი!..

ხევერნი — (გაკვირვებული). რატომ?

სოფია — განა საჭიროა ამის ახსნა?

ხევერნი — (ადგება ნაწყენი). რასაკვირველია, საჭიროა ახსნა, როდესაც ვინმეს არ ესმის... ჩემს თავს შეურაცხყოფილად ჩავთვლი, თუ უარს მეტყვით...

სოფია — ოჰო! (აღგება. დადის). თქვენ მთავაზობთ, რომ თქვენთან ერთად რუსეთი გადავარჩინო...

ხევერნი — ეგ გადაჭარბება!

სოფია — მაგრამ თქვენ მთავაზობთ რაღაც ამგვარს... მე არ მგონია, რომ შემიძლია ასეთი ძნელი საქმის შესრულება, ეს პირველი. მეორე, არა მგონია, თქვენც იყოთ ღირსი ამ როლის შესრულებისა.

ხევერნი — მადროვეთ, რა როლისა?

სოფია — ვთქვათ, კულტურული მუშაკის როლისა.

ხევერნი — (ღიმილით). ოო! რატომ?

სოფია — იმიტომ, რომ თქვენ წვრილი მტაცებელი ხართ.

ხევერნი — (უფრო გაკვირვებულია, ვიდრე ნაწყენი). მადროვეთ, ეს უკვე... ამას არ მოველოდი! და ეს... ეს მე არ მესმის.

სოფია — მე მოფიქრებულად ვლაპარაკობ. მაგიდაზე მიწყვია საბუთები, რომლებიც მეტყველებენ თქვენს მთელ რიგ უპატიოსნო საქციელზე.

ხევერნი — (დაჯდება. უხეშად). ასეთი დოკუმენტები არ შეიძლება, რომ არსებობდეს.

სოფია — (დგას მაგიდასთან. დამშვიდებული, მკაცრად). მე მაქვს ბუიანოვსკის გლეხებთან თქვენი ხელშეკრულების ასლი. ჩემთვის ცნობილია თქვენი გარიგება წინამძღოლთან.

ხევერნი — (მხრებს აჩეჩს). ეს კომერციაა...

სოფია — თქვენ აიძულებდით ტარაკანოვს, შეედგინა ყალბი აღწერა...

ხევერნი — ტარაკანოვი ფსიქიური ავადმყოფია.

სოფია — შოხინიც, რომლის მოსყიდვასაც ცდილობდით, ავადმყოფია?!

ხევერნი — ეს დამახინჯებული ცნობებია.

სოფია — თქვენ უტერემონოდ და რაც შეიძლება ღრმად უძვრებით ჩემს ძმას ჯიბეში. თქვენებურად ეს მოქმედება აუცილებელია რუსეთისათვის?

ხევერნი — შეგიძლიათ მოისმინოთ ჩემი განმარტებანი?

სოფია — (დადის. ჩაიცივნებს). არა, ჩემო ბატონო! რა განმარტება შეიძლება არსებობდეს? ყველაფერი ნათელია!

ხევერნი — (აქრობს სივარას). მაშასადამე, თქვენ მე მთვლით უპატიოსნო ადამიანად და უღირსად თქვენი ქმრობისა?

სოფია — (გაჩერდა. გაკვირვებულია. მერე გაეცინა). იცით, თქვენ ძალიან მეამიტი ადამიანი ხართ?

ხევერნი — (გაიღიმებს). თუ მე ვიკადრე ზოგი რამ ზედმეტიც,

ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი თქვენს კეთილ განწყობილებაში ჩემდამი.

სოფია — არ მესმის...

ხევერნი — მე მგონი, რომ თქვენ მეგობრად მთვლით და ჩემი საქმე თქვენ საქმედ მივაჩნიათ.

სოფია — აი თურმე რა! თქვენ შეცდით...

ხევერნი — შეცდომები უნდა აბატოთ ადამიანს. მე ვიფიქრე, რადგან თქვენ ძმას საქმე ცუდად მიყავდა, თქვენ არამცთუ დამძრახავდით, არამედ ჩემს წინდახედულობას...

სოფია — (მივა მისთან. ჩუხად, მაგრამ მტკიცედ). გამშორდი აქედან! (ხევერნი აენთო. წაიწვეს მისკენ. სოფიამ წამოავლო ხელი რაღაც საგანს მაგიდაზე. რამდენიმე წუთს ისინი პირისპირ დგანან).

ხევერნი — (უკან იხევს). თქვენ ძალიან უხეში ქალი ხართ! სასაცილო ხართ, დიან! (საჩქაროდ მიდის კარებისკენ და იხურავს შლაპას ოთახშივე, სოფია ჩამოჯდა მაგიდის პირას. ცალი ხელით იხელავს ხელს, რომელიც თვალებზე აქვს აფარებული).

სტეპკა — (კარებში. ამოიხრებს). ბუხარში ცეცხლი შევანთო?

სოფია — (ყრულ). არა! თუმცა დაანთე!..

სტეპკა — შოხინი მთხოვს, თქვენთან შემოვეშვა?

სოფია — მოიცადოს!

სტეპკა — ტყეში უნდა წავიდეს...

სოფია — დამეხსენს! კარგი, დაუძახე, ჩქარა!

(სტეპკა ვარბის. კარებში შეეჩხება ანტიპას).

ანტიპა — რა ქაჯივით დარბიხარ! სოფია, რა მოხდა? გერმანელი დარბაზში დამეჯახა, ფერი არ ედო, სისინებდა. არც გამომემშვიდობა.

სოფია — (უხეშად). წელს მან ათი ათასი მანეთით მაინც გაგქურდა...

ანტიპა — მართლა? ყოჩაღ! კარგად უხეირია. ეხ, ადამიანებო! ბავლა კი ამბობს, კეთილი უნდა იყო. ადამიანები გულითად დამოკიდებულებაზე ოცნებობენო. ბავლა არ იცი სად არის?

სოფია — წასულიყავი სადმე...

ანტიპა — კარგი ერთი! რატომ?

სოფია — (ინახავს უჯრაში ქალღღებს). ძალზე გაზარმაცდი, ანტიპა. არც კი მინდა გიყურო. თავი დამანებე... რას დაეხეტები მთელი ღღე?

ანტიპა — (მიდის, უხეშად). ადგილი ვერ მომიძებნია. (სოფია დადის ოთახში. ისწორებს თმებს, სტეპკას ანთებული კვარი უჭირავს. კარებში შოხინია. სოფია უყურებს მას და განუშვებელია).

შოხინი — შოხინი მოვიდა.

სოფია — ჰო, რა გინდა, იაკობ? ჩქარა!

შოხინი — გამისწორე ანგარიში... დამითხოვე.

სოფია — კარგი... მოიცა, რათ დავითხოვო?

შოხინი — ისე. არის მიზეზი.

სოფია — რას იზამ... ძალიან სამწუხაროა...

შოხინი — ჩემთვისაც სამწუხაროა.

სოფია — გაწყენინა ვინმემ?

შოხინი — არა!..

სტეპკა — ტყუის! მაგას იმ მუზმუზელამ აწყენინა, მონაზონ-  
მა, ფარისეველმა.

შოხინი — ვაგდელ სტეპკა!..

სტეპკა — მე თვითონ წავალ. (გაიქცევა).

შოხინი — მიზეზი ისაა, რომ არ შემძლია ახალგაზრდა დი-  
სახლისთან... მეშინიან მისი...

სოფია — რაშია საქმე? რა მოხდა?

შოხინი — მავიწროებს ძალიან... რატომღაც ისეთი სიბრაღე-  
ლით მიყურებს... ჰოდა, არ მინდა! მართალია, ცოდვილი ადამიანი  
ვარ... მაგრამ ყოველდღე არ უნდა მასამაროლებდნენ. ეს გასამარ-  
თლება კი არა, წამებაა. შემოვიდა თუ არა ჩვენს სახლში, ყველაფერი  
აირია! ვერ ვიცხოვრებ მასთან. შენც გაწვალდი.

სოფია — (უყურებს მას და ყურს არ უგდებს. ჩუმად ამბობს). რა  
სათნო თვალეები აქვს, ლმობიერი.

შოხინი — იმას? თვალეებს ნუ უჯერი, საქმეს დაუჯერე. მის-  
გან კარგი არა გამოვა რა.

სოფია — იმაზე არ მოთქვამს...

შოხინი — აი ის, ვინც ჩუმი, ახლოს, ძალიან ახლოს მოცოც-  
დება და მწარედ გიკბენს... გველი ხომ ჩუმი...

სოფია — კმარა! გეყოფა ლაპარაკი!

შოხინი — გერმანელსაც არ დაუჯეროთ. უცხო ადამიანია და  
თანაც ურცხვი... რაც შეეხება, გარდაცვლილს, მის ცოლს, შვილებს,  
მას...

სოფია — კმარა, ამას ნუ სწუხარ... შენ ის მითხარი, სად წა-  
ხვალ?

შოხინი — ქალაქში, ოლონდ იქ რას გავაკეთებ არ ვიცი...

სოფია — მეცოდები...

შოხინი — მეც მეცოდები. მარტო ხარ აქ... ანტიპა უღვინოდაც  
მთვრალია. ღმერთმა შენ მაინც მოგიმართოს ხელი. მშვიდობით, სო-  
ფია ივანოვნა!

სოფია — მშვიდობით! (ართმევს ხელს. შოხინმა მისი ხელი თავის  
ხელში შეაჩერა), იქნებ გადაიფიქროთ?

შოხინი — არა! მაშინ დავებრუნდები, როცა ის ქალი მოკვდ-  
ბა. ასე სჯობია!

სოფია — ვინ? რათ უნდა მოკვდეს?

შოხინი — ან რატომ უნდა იცოცხლოს? არ უნდა იცხოვროს...  
მშვიდობით! (მიდის უკან-უკან დახვეით).

სოფია — (თვალს გაყოლებს. სახეს ისრებს და ბუტბუტებს). რა საში-  
ნელებაა! (დაინახავს სარკეში, რომ პავლა და მიხეილი გაივლიან კარებთან. პავ-  
ლა მიხეილს ეხვევა. სოფია ეძახის შეშინებული ხმით) პავლა! (ისინი შემო-  
დიან ერთად. მიხეილი დარცხენილად იღიმება).

მიხეილი — ოო... ცეცხლი! ეს დიდებულია!

პავლა — რატომ ხარ ასე მოლუშული? (ეხვევა). მოუსმინე მი-  
შას, რა ლექსი დაწერა!..

სოფია — (ჩააკვირდება სახეში). ჩემო გოგონავ, ჯერ კიდევ დღეს  
გეუბნებოდი...

მიხეილი — ვაიმე, სერიოზული საუბარი დაიწყო!

სოფია — გთხოვთ დაგვტოვო!

მიხეილი — (დაჯდება იატაკზე პირით ცეცხლისაკენ). არა, არ წა-  
ვალ!..

სოფია — (დაღონებული). მგონი, გინდათ გამაგიჟოთ.

ცელოვანიევა — შე კი ყველგან დაგეძებთ... უკეთესია, ნუ  
იმალებით, თორემ დღეს თავის ჭკუაზე არ არის... ყველას უყვირის...

სოფია — ანა მარკოვსა, მე უნდა მოველაპარაკო მათ ცალკე.

მიხეილი — მამიდა სოფია, აბა რაზე უნდა ვილაპარაკოთ?  
ახალი არაფერია! უკეთესია მოისმინო, რა დაეწერე...

პავლა — (თვალემოხუპული უყურებს სოფიას და ირხევა ადვილზე).  
მეც არაფერზე არ მინდა ვილაპარაკო.

სოფია — (ათვალიერებს ყველას. მიდის მაგიდასთან). კარგი, დავს-  
დეთ და ჩუმად ვიყოთ, დავწყნარდეთ.

პავლა — მიშა, წაგვიკითხე რაღა!

მიხეილი — ახლავე, დედიკო!..

პავლა — ისევე? აკი გთხოვე, ნუ მეძახი-მეთქი დედიკოს!

მიხეილი — ეს კანონიერი ტიტულია.

სოფია — (მოუთმუნლად). წაიკითხე, მიხეილ!..

მიხეილი — (ჩაიცინებს). ახლავე... მაცალე, გავიხსენო...

პავლა — მე კი მახსოვს...

ცელოვანიევა — (კარბიდან). მამა მოდის, გაჩერდით!

სოფია — ანა მარკოვნა, რატომ...

ცელოვანიევა — ისევე ვერ ვასიამოვნე...

(პავლა ეხუტება სოფიას. მიხეილი ზის იატაკზე, მოიღუშება და განაპირდება სიბნელისაკენ).

ანტიპა — (შემოდის. პირქუშად უყურებს ყველას. ხელები ჩაშვებული აქვს, თითებს ათამაშებს). რათ უნდა გაჩუმდნენ? შეკრებილხართ ყველანი ერთ ოთახში... ლექსები... საუბარი... მერე რა? განა რა არის აქ ისეთი? (უბად, მოწყვნილი). ჩემი ნუ გეშინიათ, ნუ! ეშმაკმა წავიღოთ, მეც ხომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც ყველა!..

სოფია — ჩუმაღ, ანტიპა!

ანტიპა — გაჩუმდი! შენ რაა, რომ სულ მაჩერებ? ყველანი გამიბრბიან! მხეცი ვარ თუ? მითხარი! ადამიანი, რასაკვირველია, მხეცად იქცევა, როდესაც მარტო ტოვებენ.

მიხეილი — მამილო!

ანტიპა — რაო?

მიხეილი — მოუმატე ხელუასი იაკობ შოხინს!

ანტიპა — (ხელა). ეს რას ნიშნავს? დაცინვაა?..

მიხეილი — ღმერთმანი, არა! ვფიქრობ, გამხიარულდება.

ანტიპა — ეს რას ნიშნავს, სოფია?

სოფია — ხუმრობს. მიშა, შოხინი მიდის ჩვენგან?

ანტიპა — მიდის? სად?

სოფია — არ ვიცი!

პავლა — ეს კარგია... შეშინია მისი...

ანტიპა — შენ ყველაფრის გეშინია... ტყუილად გეშინია, (ჩაფიქრდება). მაშ მიდის იაკობი, არა? უცნაურია! რატომ მიდის?

მიხეილი — ეს არ ვიცოდი.

ანტიპა — სხვა აბა რა იცი? მამა ხე-ტყით ვაჭრობს, შვილი ლექსებს აცხობს... სასაცილოა...

მიხეილი — იწყება... (ღუმილია. პავლა რაღაცას უჩურჩულებს სოფიას).

ანტიპა — სხვებთან, მგონი, არ ჩურჩულებენ...

სოფია — (ნაღვლიანად). რაძე მაინც გაეაკეთოთ. დაგველია რამე... ანა მარკოენა, გაამზადეთ ჩაი.

ცელოვანი ევა — ჩაის დალევა ჯერ ადრეა...

სოფია — მიშა, ხევერნის ანგარიში უნდა შეამოწმო.

მიხეილი — ახლა?

სოფია — დიახ!

მიხეილი — ეს იმიტომ გამოიგონე, რომ გაგვრეკო ყველანი აქედან... დაიკავე ყველაზე უკეთესი ოთახი ამ სახლში და არ გიყვარს, როდესაც თავს შენთან იყრიან.

სოფია — რა სისულელეა!

მიხეილი — სისულელე კი არა...

ანტიპა — (პავლას). შენ რას გაჩუმებულხარ?

ცელოვანი ევა — ამას უყურეთ, ჩურჩული არ შეიძლებაო! გაჩუმდები, არ შეიძლებაო...

ანტიპა — დედაკაცო, ჩუმაღ!

ცელოვანი ევა — ოჰ, ღმერთო! პაშენკა!

ანტიპა — აქ წყალს რას ამღვრევ?

სოფია — ანტიპა, გონს მოდი!

ანტიპა — გაჩუმდი, დაო! მე ყველაფერს ვხედავ და შენ კი ბრმა ხარ...

პავლა — (მტკიცედ, მაგრამ ჩუმაღ). ანტიპა ივანოვიჩ, გთხოვთ ნუ უყვირით დედაჩემს!

ანტიპა — ჩემი ყვირილისაგან მაგას არაფერი არ მოუვა.

პავლა — (მიდის მისკენ). თქვენ ცუდი, ბოროტი ადამიანი ხართ. მე თქვენ არ მიყვარხართ, მეშინია თქვენი!

ანტიპა — პავლა! პავლა! ღმერთო ჩემო!..

სოფია — მოითმინე, მისმინე, პავლა...

პავლა — არა, თქვენ მოისმინეთ... მე მიშა მიყვარს...

მიხეილი — ერიპა! (იმალება ოთახის სიღრმეში). არ დაუჯერო, მამა. გამოიგონა... (ანტიპა სავარძელში ჩაჯდა. მალულად უცქერის ცოლს. საშინელი შესახედავია).

პავლა — (ცახტახით). ოჰ, ოჰ, ღმერთო ჩემო... მომკალით ამისთვის... სულ ერთია, ვიცი, რომ მიშას არ უყვარვარ... ვიცი და რას იზამ? მე კი მიყვარს... ის ყველაზე უკეთესია... ჰოდა, მომკალით!

ცელოვანი ევა — პაშენკა, რა საჭიროა ამის თქმა?

სოფია — ანა მარკოენა, გთხოვთ დაგვეტოვოთ.

ანტიპა — ეხ, პავლა!.. წადი, წადი ახლავე! დაო... გაიყვანე... ახლავე!

სოფია უხმოდ ჩაეხუტება პავლას და გაყავს, მათ მიყვება ცელოვანი ევა, მიხეილი მიეკრა ბუხარს. ანტიპა ზის გაქვავებული).

ანტიპა — (ხარივით დასცქერის იატაკს, ბუტბუტებს). მაშ ასე... ძმაო, მაშ მოხუცი... ხომ?... (წრილებს სავარძელში. შეიხსნის საყელოს. აიღო საბაზავი მაგიდიდან, გატეხა და ბუხარში შეაგდო. აიღო წიგნი, დახედა და იატაკზე დაანარცხა. მერე პატარა რვეოლვერი იპოვნა და ჩაიცინა. თვალმოხუჭული ლულაში იცქირება. სახე თანდათან უშვიდდება. რვეოლვერიანი ხელი მუხლზე დაიდო, მეორე ხელი წვერში ჩაივლო და გაქვავდა, თვალები დახუჭა. შეშინებული მიხეილი ნელა მიდის მისკენ. ეცა რვეოლვერს, მაგრამ ვერ მოასწრო ხელიდან გამოვლევია).

ანტიპა — (წამოდგება ფეხზე). შენ?



მიხეილი — მისმინე, მამა!  
 ანტიპა — გამეცალე!  
 მიხეილი — (შივა მასთან). მე არ ვარ დამნაშავე. მე არაფერი არ მინდა. ხომ გაიგონე, თვითონ თქვა... ნუ გჯერა იმისი...  
 ანტიპა — სულ ერთია, სულ ერთია!..  
 მიხეილი — მე ეგ ვიცი!..  
 ანტიპა — რა?  
 მიხეილი — (უჩვენებს იარაღზე). აი ეგ...  
 ანტიპა — (დაადგო რევოლვერი იატაკზე კარისკენ). სულელო! შენ, გგონია, შენი გულისათვის გადავწყვიტავე... ეხ, ლოთო! გამეცალე!  
 მიხეილი — ნუ ფიქრობ ჩემზე ცუდს. ვიცი, რომ უსარგებლო აღამიანი ვარ, ავადმყოფი... მე მრცხვენია შენი, ყველასი... გულწრფელად გეუბნები, არაფერი არ მინდა დედინაცვლისაგან.  
 ანტიპა — (ღრიალებს). გამშორდი! მოგკლავ! დავივიწყებ, რომ შეილი ხარ! (ეცემა, წაავლებს ხელს და აჯანჯლარებს). აი, რა აზრები გქონია მაგ უწმინდურ თავში.  
 მიხეილი — ეს ჩემი კი არა, შენი აზრებია...  
 ანტიპა — რაო?  
 მიხეილი — სულით შენზე მალალი ვარ... არაფერში დამნაშავე არა ვარ...  
 ანტიპა — შენ მე გული ამომგლიჯე...  
 სოფია — (შემობის). გაუშვი, გაუშვი-მეთქი! მიშა, გაიქეცი! (მიხეილი დაავლებს ხელს რევოლვერს და გარბის).  
 ანტიპა — (უნებურად მიეყრდნო სოფიას). სოფია... ჩქარა... დაიკო, გარეკე ყველანი... პავლა დამალე... მიშკა წავიდეს სადმე! სოფია, ჩემს ირგვლივ დიდი ცოდვა ტრიალებს... ილონე რამე! გული... არ მიცემს. (სოფია ჩასვამს სავარძელში და კეტავს კარს). მომკლეს! (სროლის ხმა, ანტიპა წამოდგება. იატაკს დასცქერის და ვერაფერს ვერ ამბობს).  
 სოფია — (დახედა შავიდას, შემლევ კარისკენ გარბის და თან ამბობს). შავიდიდან რევოლვერი აუღია...  
 ანტიპა — (წაბარბაცდა). ეს მიხეილმა გაისროლა... ჩემმა შეილმა!..

ფ ა რ დ ა

### მოქმედება მეოთხე

იგივე ოთახი, სავარძელში ბუხართან ზის ანტიპა. თითქოს მოგრალიაო. მის უკან ჩუმად დადის მურატოვი, ჩაფიქრებულია. თუთუნს აბოლებს.

ანტიპა — რას ამბობს ექიმი?  
 მურატოვი — აბა, რა ვიცი. ჩვენ ხომ ახლა მოვედით...  
 ანტიპა — ახლა? ჰო...  
 მურატოვი — (შეშინებული შეხედავს). ჯერ ალბათ ვერც მოასწრებდა გასინჯვას...  
 ანტიპა — სოფიამ გამოავლო იქიდან. (ბუზა). რათ მოხვედით?  
 მურატოვი — აკი გეუბნებოდი, ექიმი ჩემთან იყო, როცა შოხინი მოვარდა.  
 ანტიპა — შოხინი? იმანაც ხომ კაცი მოკლა.  
 მურატოვი — მეც გამოვეყვი ექიმს... იქნებ საჭირო გავხდე-მეთქი.  
 ანტიპა — შენ?  
 მურატოვი — ჰო!..  
 ანტიპა — შოხინი სად არის?  
 მურატოვი — ქალაქში გაგზავნეს წამლისთვის.  
 ანტიპა — ასე, მაშ ყველაფერი შეიძლება აისხნას...  
 მურატოვი — აქ ახსნაც არ არის საჭირო...  
 ანტიპა — კმარა ლაპარაკი! (ჩაიცინებს). მე თქვენ, ბატონო ჩემო, არ გიყვარვართ, ხომ?  
 მურატოვი — (წამით შეჩერდა). ახლა სიყვარულზე ლაპარაკის დრო არ არის...  
 ანტიპა — (იმეორებს ნელა). სიყვარულზე ლაპარაკის დრო არ არის... როგორი სიტყვებია, ჰა!.. მე კი არ მეშინია ვთქვა, რომ არავინ არ მიყვარს... მხოლოდ სოფიას... დიდ პატივს ვცემ... (გაჩუმდა). კაცმა

რომ თქვას, ვინმე მიყვარსო, ეს ძალიან სახიფათოა... ექიმი მთვრა-  
ლია?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — არც ისე. როგორც ყოველთვის...

ა ნ ტ ი პ ა — მიხეილს რამეს ხომ არ ავნებს?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — რას ამბობთ! ხომ იცით, რომ ის ექიმია...

ა ნ ტ ი პ ა — ჰო, კარგი ადამიანიცაა. ცუდია მხოლოდ, რომ შენ  
გაალოთე... შენ ყველას ზიანი უნდა მიაყენო. მიხეილიც შენ დააზიანე.  
ერთი მაგნე კაცი ხარ. დაიცა! (შეშინებული წამოდგება სავარძლიდან).

ს ო ფ ი ა — (შემოდის აჩქარებული. მკლავები დაკაპიწებული აქვს), კრი-  
ლობა საშიში არ არის... გესმის, ანტიპა?

ა ნ ტ ი პ ა — მართლა? არ არის საშიში?

ს ო ფ ი ა — მართლა, მაშ!..

ა ნ ტ ი პ ა — (ჩაუშვა სავარძელში). მადლობელი ვარ!

ს ო ფ ი ა — (მიდის თავის ოთახში. წასჩურჩულებს მურატოვს). არსად  
გაუშვათ...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (თავს დაუქნევს თანხმობის ნიშნად). ხომ ვაიგო-  
ნეთ?..

ა ნ ტ ი პ ა — რა წაგჩურჩულა?

ს ო ფ ი ა — (გამოდის ყუთით). აკი ვთქვი, რომ ჯერ აქედან არსად  
წახვიდე-მეთქი...

ა ნ ტ ი პ ა — მერე, რათ ეუბნები ამას და არა მე?

ს ო ფ ი ა — (მოდის). ეე... არაფერია...

ა ნ ტ ი პ ა — მე კი სასიკვდილოდ გავხდი ავად.

მ უ რ ა ტ ო ვ ი — ყველაფერი გაივლის...

ა ნ ტ ი პ ა — გაივლის, როცა მოგკვდებით. ნურაფერს ნუ მეუბ-  
ნები, ნუგეშს ვერსად ვიპოვი... (სდუმს. მურატოვი გაჩერდა, აკვირდება), აი,  
შენ ხომ სწავლობდი... კანონები იცი... მითხარი, რატომ ხდება ასე?  
მე ჯანმრთელი ადამიანი ვარ, საქმე მიყვარს და გადამეტებული ჯან-  
მრთელობა, შეიძლება, ჩემთვის ცუდიც იყოს... შეილი კი სუსტი  
მყავს. არაფერი არ აინტერესებს. რატომ არის ეს ასე? რა კანონია  
ეს?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (უხალისოდ, თითქოს არ სჯერა). რას იზამ... ერთი  
თაობა შრომობს... მეორე იღლებს... უფრო სწორად, იბადება დაღ-  
ლილი...

ა ნ ტ ი პ ა — არ მესმის...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — ალბათ შვილებზე გადადის მამების დაღლია,  
სისხლში გადადის...

ა ნ ტ ი პ ა — თაობა... რალცნაირი სიტყვებია, ქარაგმული.

მ უ რ ა ტ ო ვ ი — რა არის აქ ქარაგმული?

ა ნ ტ ი პ ა — რა, და ის, რომ ერთნი შრომობენ, მეორენი უსაქმუ-  
რობით იხოცებიან... ცუდად გამოდის რალაც.

მ უ რ ა ტ ო ვ ი — თქვენ ახალგაზრდობისას ბევრს სვამდით?

ა ნ ტ ი პ ა — მე? არა. მამაჩემი სვამდა, ცოლიც სვამდა... ლოთე-  
ბის ოჯახიდან იყო... მოწყენილი იყო ჩემთან. მე ხომ შინ თითქმის  
არ გვცხოვრობდი. მას სულ პიტნის სუნის ასდიოდა... ანდა მშრალი  
ჩაისა... ღვინის სუნს ამით ახშობდა. მიხეილი სოფიამ გააფუჭა. მას-  
თან იზრდებოდა და წიგნების კითხვას შეაჩვია... ლექსების წერას...  
ამბობს ქანქარა ბრინჯაოს ნაჯახივით ჩეხავს წუთებს თავებსო. სასა-  
ცილოა წუთების თავი. ეს ჭიანჭველების მაგვარი რამ უნდა იყოს,  
ხომ? ან იქნებ სასაცილოც არაფერია... (დახუჭა თვალები, თითქოს ჩას-  
თვლინაო, სოფია კარებიდან ანიშნებს მურატოვს. მან შეხედა ანტიპას და მივიდა  
სოფიასთან).

ს ო ფ ი ა — მიმას ნახვა უნდა ამისი... პავლა გაეიყვანე იქიდან,  
მაგრამ შეიძლება დაბრუნდეს. წადით და შეაჩერეთ. პავლა ახლა ამას  
არ უნდა შეხედეს. პავლა ანტიპას არ უნდა შეხედეს, გესმით?

მ უ რ ა ტ ო ვ ი — მესმის, მაგრამ, ოჰ, რა სისულელეებზე კარ-  
გავთ ძალღონეს. საშინელებაა!

ს ო ფ ი ა — კარგი. წადით!..

მ უ რ ა ტ ო ვ ი — იფიქრეთ. მაინც განა თქვენ...

ს ო ფ ი ა — (მწარლად). წახვალთ თუ არა? (მურატოვი მიდის. სოფია  
მას სარკეში უთვალთვალებს).

ა ნ ტ ი პ ა — (ოდნავ ასწია თავი). რაში გჭირდება ეს კაცი?

ს ო ფ ი ა — არაფერადაც არ მჭირდება.

ა ნ ტ ი პ ა — საქმეც ეგაა! სჯობია მათხოვარი იყო ან სხვას წაგ-  
ლიჯო რამე, ვიდრე ასეთ კაცთან გქონდეს საქმე...

ს ო ფ ი ა — იცი, რა ვითხრა? (უახლოვდება).

ა ნ ტ ი პ ა — სოფია? რათ ხდება ასე? მამა შრომობდა, მეც  
ვშრომობდი. დავაგროვე დოვლათი ათასი კაცის საკმარისი და არ ვი-  
ცი რა ვუყო. რათ მინდა ყველაფერი ეს? მიხეილი — მკვდარი სულია.  
შენ უშვილო ხარ...

ს ო ფ ი ა — განა მაგაზე ლაპარაკის დროა ახლა?

ა ნ ტ ი პ ა — უყურე ერთი! მეტყვემე კი სთქვა, განა ახლა სიყვა-  
რულზე ლაპარაკის დროაო...

ს ო ფ ი ა — შენც ნახე რალა, ვისთან ილაპარაკო სიყვარულზე.  
სულელი! (ხელს დაადებს თავზე, მაგრამ ანტიპა ჩამოიღებს და ათვალთვრებს  
მის თითებს).

ა ნ ტ ი პ ა — პატარა ხელია, მაგრამ მტკიცე... შენ ჩემი და კი არა,  
ცოლი უნდა ყოფილიყავი. ეჰ!..

ს ო ფ ი ა — (გამოართვა ხელი). აი რა — მიმას შენი ნახვა უნდა...

ანტიპა — (წაბარბაცდა, მაგრამ ისევ გაიმართა). თვითონ ისურვა, თუ შენ შთაავონე?

სოფია — თვითონ.

ანტიპა — დაიფიცე!

სოფია — აბა, ახლა ღმერთიც დამაფიცე...

ანტიპა — ძნელი იქნება ჩემთვის მისი ნახვა.

სოფია — წამო!

ანტიპა — მე ყოველთვის მეძნელებოდა მისი ნახვა. რა დავუშავე, ა? ეგ დაიღალა. მე არ დავღლილვარ. ის იქ არის?

სოფია — არა. პავლა არაფერში დამნაშავე არ არის.

ანტიპა — ვიცი, ეგენი ყველანი ასეთები არიან. არაფერში არ არიან დამნაშავენი. ეს ჩვენ ვართ ყველაფერში დამნაშავე, ჩვენ ვართ! სოფია, რას წარმოადგენს, ვინ არის ეს პავლა?

სოფია — გვიან კითხულობთ... უბრალოდ რომ ვთქვათ, ახალგაზრდა ქალიშვილია... ცხოვრობს თავისი ახალგაზრდული ილუზიებით, სიზმარშია.

ანტიპა — მეც ბედნიერება ვიპოვე რაღა... დასვენება...

სოფია — ბედნიერება იაფი როდია...

ანტიპა — თუნდაც პატარა?

სოფია — როცა ხელში გიჭირავს, ბედნიერება სულ პატარა გეჩვენება. აი, როცა გაუშვებ, მაშინ იგრძნობ, თურმე რა დიდი და ძვირფასი ყოფილა. (აჩქარებით). ამას შენზე არ ვამბობ.

ანტიპა — კარგი, კარგი! მე მეგონა, შვილები გვეყოლებოდა.

სოფია — ახლა ეს გამოიგონე...

ანტიპა — არა! ვფიქრობდი, ველოდი... უშვილო ქალი რა სასიხარულოა?... (სოფიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაიჭნია, მობრუნდა). შენ რაო?

სოფია — გიცდი. მოდიხარ?

ანტიპა — მოვდივარ, სოფია. რად ეზარებათ ქალებს ჩემთან ყოფნა? რატომ სწყინდებათ? თითქოს ვუყვარდი კიდევ მათ, მაგრამ ზოგიერთი გულს მაინც არ მიხსნიდა. რატომ?

სოფია — გეყო წუწუნნი!

ანტიპა — განა ვწუწუნებ. მე ხომ ლამაზი კაცი ვიყავი...

სოფია — ქალებისათვის შენ მუდამ ნახევარი ადამიანი იყავი.

ანტიპა — სტყუი!..

სოფია — დაფიქრდი და მიხვდები, რომ მართალს ვამბობ.

ანტიპა — (უუხრებს კედლის საათს). რა უნდა ვუთხრა მიხეილს?

სოფია — მოიფიქრე...

ანტიპა — ქანქარა, როგორც ნაჯახი... მე მიხეილი კი არ მე-

ცოდება, ჩემი თავის მცხვენია. ჩემი თავი მეცოდება... ტყუილად ვეწვალე. (სოფია ჩაფიქრდა).

სოფია — (მტკიცედ). არა, არ წახვიდე! არაა საჭირო!

ანტიპა — რატომ?

სოფია — მე ვეტყვი მიხეილს, რომ ცუდად ხარ... ჩათვლიმათქო.

ანტიპა — ეგებ აჯობებდა, რომ წამოვსულიყავი? თუ გინდა, წამოვალ.

სოფია — (მკაცრად). გეუბნები, არაა საჭირო-მეთქი!

ანტიპა — მაშინ ერთი საათის შემდეგ მოვალ. დავწყნარდე ცოტა. სოფია, ყველაფერი ამერია თავში, ყველანი გამხეცდნენ... გულში საშინელება მიტრიალებს...

სოფია — ბევრს კი ლაპარაკობ, აი! (სწრაფად გადის).

ანტიპა — (გაიარა ოთახში. მივა მაგიდასთან. ათვლიერებს ქაღალდებს. ბუტბუტებს. ხელს იშვერს კარებისაკენ). შენც, ჩემო ძმაო, ყველაფერი არ გესმის... (კითხულობს რომელიღაც ფურცელს. მოიღუშა. ისევ კითხულობს). მაშ... მოიცა. (ჩაფიქრდება). ე-ე... სოფია, მაშ ასეა... საქმე? (მოხინი ფრთხილად შემოდის პაკეტით, შეამჩნევს ანტიპას და უკან იხევს).

ანტიპა — ვინ არის?

შოხინი — შოხინი მოვიდა, წამლებით. (ორივე რამდენიმე წამით ზემოდ უცქერენ ერთმანეთს).

ანტიპა — აი, მეც მოგვალი კაცი...

შოხინი — აქ ეს აღვილია.

ანტიპა — და მერე ისიც შეილი... ა?

შოხინი — (პირქუშად). ვერ გაიგებ ვინ ვის...

ანტიპა — შენ, ამბობენ, მიდიხარ?

შოხინი — მივდივარ, მაგრამ განაწყენებული მაინც არა ვარ...

ანტიპა — მაშ წავიდეთ ერთად...

შოხინი — სად?

ანტიპა — შენ სად აპირებდი?

შოხინი — ჯერ არ ვიცი.

ანტიპა — ჰოდა, მეც შენთან...

შოხინი — თუ მართლა ასეა, მოვიციდი. საქმეებს სოფიას ანდობთ?

ანტიპა — მერე რა? მარჯვე ქალია, თავს გაართმევს...

შოხინი — რასაკვირველია...

ანტიპა — სალოცავად წავიდეთ...

შოხინი — მე ცუდი მლოცველი ვარ...

ანტიპა — შენზე მამაშენი ზრუნავდა.

შოხინი — როგორც ჩანს. რა ვუყო ამას?  
ანტიპა — წამალს? წაუღე იქ...  
შოხინი — მეშინია, თითქოს...  
ანტიპა — იყო დრო, არაფრის არ გეშინოდა...  
შოხინი — ყველაფერს თავისი დრო აქვს.  
ანტიპა — ძნელია, იაკობ, ადამიანებთან ცხოვრება...  
შოხინი — ადამიანები არ ჩანან. ირგვლივ მარტო მოსამართლეები და ბრალდებულებია.  
ანტიპა — მაშ ვადავწყვიტეთ, მივდივართ, არა?  
შოხინი — თუ თქვენ ნამდვილად წამოხვალთ, მე არაფერი არ მაკავებს.  
სტეპკა — (შემოვარდება). შენ აქა ხარ? პირუტყვო! მომეცი ჩქარა წამალი... (დაინახავს ანტიპას. შეეშინდება და გაიქცევა).  
ანტიპა — ხედავ? აი, რა საშინელი ვარ.  
შოხინი — სულელია, მაგრამ კარგი გოგოა.  
ანტიპა — განა კარგები უნდა შეაშინო?  
შოხინი — (მიღის). რათ უნდა შეაშინოთ? (ანტიპა მარტოა. აკვირდება სურათს მაგიდაზე. დაუწევს ლამპას და შერე ისევ აუწევს).  
პავლა — (შემოვარდება). სოფია ივანოვნა!.. (დაინახავს ანტიპას. უკან დაიხვეს და გაჩერდება, თავს დაბლა დახრის).  
ანტიპა — (ნელა მივა. თავს აუწევს, უყურებს თვლებში). აბა, რას იტყვი?  
პავლა — (ჩუმად). მცემეთ!..  
ანტიპა — ეხ, შე ჩუმო გველო...  
პავლა — ნუ მტანჯავთ, მცემეთ!..  
ანტიპა — (ასწევს მუშტს). რისთვის გცემო?  
პავლა — ჩქარა, ღმერთო ჩემო!  
ანტიპა — რისთვის გცემო?  
პავლა — არ ვიცი... იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვარ. იმიტომ რომ შევეცდი, ვფიქრობდი, რომ თქვენ ასეთი არ ხართ... იმიტომ, რომ არ მიყუარხართ... (ხელებს აიფარებს სახეზე).  
ანტიპა — (ჩააღლებს ხელს ხელში და არ უშვებს. ხრიალებს). წადი... დამეკარგე! რა მიყავი? რა?  
პავლა — (ეშვება იატაკზე). მე არაფერიც არ მიქნია...  
ანტიპა — (ხელი გაუშვა. პავლა დაეცემა. ანტიპა ნელა წევს ფეხს, თითქოს უნდა ჩაწიხლოს, მაგრამ დაჯდება იატაკზე და პავლას თავს დაიდებს მუხლებზე. ვალერსება, ვერხვებულება). ნუ გეშინია... ჩემო ბავშვო... ხელს არ გახლებ... გონს მოდი, ჩემო კარგო ბავშვო!  
სოფია — (კარებს უკან). გაათავეთ სისულელის რომეა...

მურატოვი — მაგრამ რა მოგელით, რა?  
სოფია (შემოდის. მივარდება ძმას). რა ჩაიღინე?  
მურატოვი — (შეშინებული უკან დაიხვეს). დასწყევლოს ეშმაკმა!  
ანტიპა — ჩუმად...  
სოფია — (სინჯავს პავლას). გული წაუვიდა?  
ანტიპა — არ ვიცი...  
მურატოვი — ახლავე ექიმს დაუქმახებ...  
სოფია — ჩქარა! შუშაბანდშია, ტარაკანოვთან...  
პავლა — (გამოერკვევა, იხედება ანტიპასკენ). წადით... სოფია, წამიყვანეთ...  
ანტიპა — კეთილი (წავა ტერასის კარისკენ. ზურგშემტევით დგას).  
სოფია — რა მოხდა?  
პავლა — უნდა ვეცემე.  
სოფია — (ძმას). წადი... გეთაყვა...  
ანტიპა — არა, არ წავალ!  
პავლა — (დგას სოფიაზე დაყრდნობილი). ანტიპა ივანოვიჩ, თქვენც იცით, რომ მინდოდა შემეყარებოდით...  
ანტიპა — მაგას ნუ ლაპარაკობ...  
პავლა — მე მინდოდა, რომ თქვენ უფრო კეთილი ყოფილიყავით...  
ანტიპა — ოჰო...  
პავლა — მაგრამ თქვენ არავინ არ გეცოდებათ. თქვენ არავინ არ გიყვართ. რატომ არ გიყვართ შვილი? რატომ ეჭვიანობთ ჩემზე და სდევნით მას? ის ავადმყოფია, უბედურია და განა დამნაშავეა, რომ ასეთია?  
ანტიპა — განა მე დამნაშავე ვარ, რომ ჯანმრთელი ვარ? დამნაშავე ვარ, რომ უქნარები არ მეცოდებიან? მე საქმე მიყვარს, მუშაობა მიყვარს! ვის ძვლებზეა ცხოვრება აშენებული, ვისი ოფლით და სისხლითაა მიწა მორწყული? ისეთ ხალხს როდი უკეთებია საქმე როგორც ისაა, როგორც შენ ხარ. მას ჩემსავით შრომა შეუძლია?  
სოფია — კმარა!  
ანტიპა — ჩემი და მამაჩემის შრომით ვინ მოთვლის რამდენი კაცი გამძღარა... რამდენი გამდიდრდა. მიხეილი კი რას წარმოადგენს? თუ ცოდვა რამ ჩავიდინე, საქმესაც ვაკეთებ. თქვენისთანა გულკეთილებს რომ ყური დავუგდო, ყოველნაირი საქმე ვიღაცის წინაშე უსამართლოა... ტყუილია ეს. მამაჩემი ამბობდა, თუ სიღარიბეს ბოლოს არ მოუღებ, ვერც ცოდვას მოსპობო. აი ეს სწორია!  
პავლა — თქვენზე ყველგან ცუდს ამბობენ, რადგან მდიდარ ხართ.

ანტიპა — მაშ რა თქვან! შურით ამბობენ, რადგან მდიდარი ვარ! ყველანი მდიდრები უნდა იყვნენ, ყველანი ძლიერნი უნდა იყვნენ, რომ ერთიმეორეს არ ემსახურონ, ერთიმეორეს თავი არ ძოუხარონ... ადამიანები თუ დამოუკიდებლად იცხოვრებენ, იცხოვრებენ უშუროდ — კარგები იქნებიან... ვერ მიაღწევენ ამას? დაიღუპებიან თავისივე უხეირობით! ეს სოფიას სიტყვებია, მართალი სიტყვებია. (სოფია უტრადლებით უტყერის ძმას).

პავლა — მიშაზე რას იტყვი? მერე მიშა?

ანტიპა — რით უნდა ვუშველო? არაფერი მე არ შემიძლია! ვერ ვხედავ ჩემს დანაშაულს მის წინაშე. (ჩუპაღ). შეიძლება შენს წინაშე ვარ დამნაშავე... დაგინახე, მომეწონე... მომინდა შენთან სიხარული, დასვენება. ნუთუ დასვენებაც არ დამიმსახურებია?

პავლა — ღმერთო! ნუთუ არ შეიძლება ვიცხოვროთ ამ მშვიდ ქვეყანაზე? გვიყვარდეს ერთმანეთი, ყველა გაეკარდეს? ყველა? (სოფია ჩაფიქრებული მოსცილდება). ხომ საჭიროა, რომ სხვაგვარად ვცხოვრობდეთ?

ანტიპა — დაიწყო ახლა...

პავლა — ჩემო კარგებო... ასე არ შეიძლება... არ შეიძლება ისე იცხოვრო, რომ არავინ არ გიყვარდეს... არავინ გეცოდებოდეს... ჩემო ძვირფასო ადამიანებო, ნუთუ ყველანი მტრები არიან ერთმანეთისა? (სიზუნე). ღმერთო ჩემო! ხომ არის, რაღაც უდავო, ხომ არის ქვეყნად რაღაც სიმართლე.

ანტიპა — შენთვის ის არ დაუწესებიათ...

პავლა — ხომ საჭიროა ფიქრი სიმართლეზე, საჭიროა მისი ძებნა...

სოფია — (ჩუპაღ). სიმართლეს ვერ გამოვიგონებ. ის უნდა გამოიმუშაო. მუშაობაა საჭირო, პაშა, და არა ძებნა... ვერაფერს ვერ იპოვი, როდესაც არაფერი არ დაგიკარგავს...

ანტიპა — (პირქუშად). სულის სიმშვიდეა დაკარგული...

სოფია — სიმშვიდე სიმართლე როდია.

პავლა — (ხალვლიანად). არ მესმის. თქვენი... არაფერი არ მესმის. (ცელოვანივეს შემოჰყავს მიხელი, იგი ცალი ხელით დაყრდნობილია ანა მარკოვანას მხარზე და იღიმება. მოდის ყოჩაღად. ხელი ისე აქვს გაშვებული, თითქოს შერიგებას ითხოვს).

სოფია (აღღებებული მიეშველება). რატომ ადექი? რატომ მიეცით ნება?

ცელოვანიევა — მთხოვა...

პავლა — ღმერთო! რას სჩადიხართ, დედა?

ცელოვანიევა — წამიყვანეთო. მინდა მამა ვნახო...

მიხეილი — არაფერია, მაშინდა სოფია...

ცელოვანიევა — თვითონ არ მოვარო.

პავლა — ნუთუ არ გესმით?..

ცელოვანიევა — შენ ბევრი გესმის! მეტი უყვირე დედას...

მიხეილი — მოიცათ... ნუ უყვირით... მე ვარ დამნაშავე...

(სოფია ჩასვამს სავარძელში).

ანტიპა — (მივა. უყურებს შვილს, ყრულ ამბობს). არ უნდა ამდგარიყავი. მე მოვიდოდი ცოტა ხნის შემდეგ. მე მინდოდა მოსვლა... მაგრამ აქ... ვლაპარაკობდით...

მიხეილი — ყური მიგდე, მამა...

სოფია — გაწყენს ლაპარაკი...

მიხეილი — უთქმელობა უფრო მაწყენს.

ანტიპა — მძიმედ დაიჭერი?

მიხეილი — მაპატოე...

ანტიპა — ეპ, ძმაო... ეგრე იყოს! რას იზამ? არ ვიცი, ვინ არის დამნაშავე...

მიხეილი — მე ვიცი, ვინც არის დამნაშავე.

პავლა — ვინ? მაინც ვინ?

ცელოვანიევა — ცხადია, უმწურო ადამიანები.

სოფია — მაგას რად ამბობთ, ანა მარკოვანა?

ცელოვანიევა — თქვენ, ჩემო კარგო, მე დამეხსენით.

ანტიპა — გაჩუმდი, შე ღვთის გლახავ, თორემ...

სოფია — ანტიპა, გაჩერდი!

ანტიპა — ტფუ... აი ქუჭყია!

მიხეილი — მოიცა, მამა, ნუ ლელავ... ყველაფერი ეს ხომ სასაცილოა... ვიდრე საშიში...

ანტიპა — შენ ამბობ, სასაცილოა? ეპ, მიხეილ... არ ვარგა ეს... არ ვარგა!

მიხეილი — შენ თავს რას ერჩი... (მურატოვი კარებიდან ანიშნებს სოფიას. ის მივა. ნერვიულად ლაპარაკობენ).

სოფია — ნუთუ?

მურატოვი — დიახ, ყველაფერი სისულელეაო. ასე თქვა. მეტისმეტი სიმდიდრისაგან მოსდითო და წავიდა!

სოფია — მაშ რაღა ვქნათ? გეთაყვა, დაადვენეთ ცხენით შოხინი... (მურატოვი მიდის).

ანტიპა — არა, რას იცინი?

მ ი ხ ე ი ლ ი — რაღაც კარგი მინდა გითხრა. გულით...  
ან ტ ი პ ა — (დარცხენილი). მოგცლია. შენ ჩუმაღ იყავი... დაი-  
სვენე...  
მ ი ხ ე ი ლ ი — იცი რა, მე კარგად მესმის... ჩუმაღ, თითქოს შო-  
რიდან შეგხაროდი, სიხარული კი სიყვარულს ნიშნავს...  
ან ტ ი პ ა — (გაკვირვებულია. არ სჯერა). სოფია, ხედავ? აი რას ამ-  
ბობს...  
პ ა ვ ლ ა — (სოფიას). მაგას ხომ ვნებს ლაპარაკი! (სოფია აჩერებს  
ხელით).  
მ ი ხ ე ი ლ ი — შენ მახვილი ხარ ღვთის ხელში... ვიღაც დიდი  
მშენებლის ხელში... შენც და მამიდა სოფიაც. ის შენზე ყოჩა-  
ღია, ხოლო მე და ყველა ჩემისთანა ჭუჭყნი ვართ... უნდა გითხრა, მა-  
მა, რომ ბევრი ვიფიქრე ამაზე — უსარგებლო ადამიანები ქვეყნად არ  
არიან, არიან მხოლოდ მავნე ადამიანები... შენ კი ნუ იტანჯები!  
ან ტ ი პ ა — (გული ამოუკლდა. აკოცა შუბლზე შეილს და წელში გაიშარა).  
ღმერთი იყოს შენი შემწე... მადლობთ, ჩემო კარგო! ძალიან გამახა-  
რე! ღმერთმა გიშველოს, რომ ეს თქვი... მამა, მამა, ჩემი მიხეილი ხომ  
ცოცხალი ადამიანია... სულით, გულით, იმასაც უყვარს! ხომ არ შეი-  
ძლება, რომ არავინ არ გიყვარდეს? არ შეიძლება, სიყვარული უსი-  
ხარულოდ.  
პ ა ვ ლ ა — (ჩუმაღ ტირის). ღმერთო... არ მესმის...  
ან ტ ი პ ა — (პავლას გამარჯვებულივით). ხედავ? (შვილს). მე ხომ კარ-  
გად გიცნობთ? როცა ჯერ კიდევ ენას ვერ იდგამდი... რამდენი შიში  
გამოვიარე შენი გულისთვის, შვილო... ვფიქრობდი, აი იზრდება ჩემ-  
თვის ყველაზე ახლობელი ადამიანი. ის იკისრებს მთელ ჩემს შრომას,  
ჩემს ცოდვებს... გაამართლებს მთელს ჩემს სიცოცხლეს-მეთქი...  
მ ი ხ ე ი ლ ი — (აღელვებული). ეს რა კარგად სთქვი! მე მჭირდება  
მამიდა სოფია... (გული წაუვა. სოფია მივარდება. პავლა შეშინებული უკან  
დაიხევს. ანტიპა იჩოქებს. ცელოვანივეა ქალიშვილთანაა, მურატოვი კარებშია).  
პ ა ვ ლ ა — (ჩურჩულით). გარდაიცვალა.  
ს ო ფ ი ა — გაჩუმდი!  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — ბოლო მოუღეს!..  
ან ტ ი პ ა — რა დაემართა, სოფია? სად არის ექიმი?!  
ს ო ფ ი ა — ექიმი წავიდა... მოიტათ წყალი...  
პ ა ვ ლ ა — (შფოთავს). აი, განა არ შეიძლებოდა მასთან მისული  
ყვენე! ოჰ, რა სისასტიკეა!  
მ უ რ ა ტ ო ვ ი — (ჩუმაღ). ნეტავი ერთი მოისვენებდეთ!  
პ ა ვ ლ ა — (გაჯავრებული). თავი დამანებეთ... რა გინდათ? მე  
თქვენ მძულხართ...

მ უ რ ა ტ ო ვ ი — (თავს ხრის). ეს მე არცა მწყინს.  
მ ი ხ ე ი ლ ი — (გამოერკვევა). დამაწვინეთ...  
ს ო ფ ი ა — (ძმას, მურატოს). აიყვანეთ!  
მ ი ხ ე ი ლ ი — არაფერია. მე შევძლებ... (ძმას და მურატოს მიჰყავთ.  
მიხეილი ჩაიცივებს). აი, რა პატივში ვარ...  
პ ა ვ ლ ა — (გააჩერებს სოფიას). რა ვქნა, რა? მითხარი...  
ს ო ფ ი ა — დაიცა... მიშას მივხედო.  
პ ა ვ ლ ა — მგონი, მეც მოვეკვდები... მითხარი, რა ვქნა, სად წავი-  
დე?  
ს ო ფ ი ა — აბა იფიქრე... ანტიპას ცოლი შენ არა ხარ და არც  
მიხეილის და.  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — ხომ გეუბნებოდით... ნუ გავყიდით საკუ-  
თარ კუთხეს-მეთქი!  
პ ა ვ ლ ა — თავი დამანებე, დედაჩემო!  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — სად შევაფართო თავი ახლა?  
ს ო ფ ი ა — პავლა, შენ ბევრს ლაპარაკობ სიყვარულზე, მაგრამ  
სიყვარული არ შეგიძლია. როდესაც უყვართ, ყველაფერი ნათელია,  
იცი სად წახვიდე და რა გააკეთო... ყველაფერი კეთდება თავის თავად  
და არავის არაფერს არ ეკითხებიან...  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — აი, აი! უკითხავად იცხოვრე!.. აი, რა  
კარგად გასწავლიან...  
ს ო ფ ი ა — მზიან დღეში არ კითხულობენ, რატომ არის სინათ-  
ლეო. შენ გულში, ეტყობა, მზე ჯერ არ ამოსულა...  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — ნუ უგდებ ყურს, პავლა! ოჰ, ნუ უგდებ!  
ს ო ფ ი ა — თქვენ კი, ანა მარკოვნა, დიდ ზიანს აყენებთ თქვენს  
ქალიშვილს...  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — ერთი ამას დამიხედეთ! დედას ზიანი  
მოაქვს... არა, ჩემო ბატონო, თქვენთან უკაცრავად...  
ს ო ფ ი ა — (მიღის). ვიცი, რომ თქვენთან ამ ლაპარაკს აზრი არა  
აქვს. ბოდიში. წამომცდა.  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — წადი, გაიქეცი ჩქარა შენ საყვარელთან...  
პ ა ვ ლ ა — ეს ტყუილია! მას არ ჰყავს საყვარელი.  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — (მშვიდად). არა ჰყავს და ეყოლება...  
პ ა ვ ლ ა — (დაღის ოთახში). არ ამოვიდა მზე...  
ც ე ლ ო ვ ა ნ ი ე ვ ა — შენც დაუჯერე მას! მზეზე კი არა, შენს  
თავზე უნდა იფიქრო. უნდა იფიქრო, როგორ იცხოვრო ამ ქვეყნად  
ჩუმაღ და სიამოვნებით... ყველას უნდა, რომ სიამოვნებით ცხოვ-  
რობდეს... ამ ყაჩაღს კი თავი უნდა დაანებო. არც ეს ქალბატონია შე-  
ნი ამხანაგი, ესეც ქურდის ჯიშისაა, ჩვენ კი წყნარი ადამიანები ვართ,

შენ ხომ შენი ფული გაქვს ოცდახუთი ათასი? კიდევ მოიძებნება... შენი ფულით იცხოვრებ ისე, როგორც გინდა. შენი მანეთიანი მკვიდრ ძმას გერჩივნოსო. მეც ამ სახლში ზედმეტი ვარ, ორმოცდასამი წლისა ვარ და მოსვენება მინდა. ვინა ვარ მე აქ?

პავლა — თქვენ სულ სხვა რამეს ლაპარაკობთ. რად გამოვედი მონასტრიდან?

ცელოვანიევა — შენი კაპიტალით მონასტერშიც ქალბატონივით იცხოვრებ. მეც შენთან ერთად ვიქნებოდით... დედაზე უფრო ახლობელი ვინ არის?... მას ყველაფერი ესმის, ის ყველაფერს დაფარავს და გაიგებს.

პავლა — ჩუმად, ვიღაცა მოდის.

ცელოვანიევა — წავსულიყავით ჩვენც! საცაა პოლიცია მოვა.

პავლა — რატომ?

ცელოვანიევა — მაშ როგორ? მე გამოვუძახე.  
(შემოდის მურატოვი).

პავლა — როგორ არის?

მურატოვი — დაიღალა. თვლემს...

პავლა — არ მოკვდება, ხომ?

მურატოვი — დროთა განმავლობაში მოკვდება...

პავლა — როდის? ახლა ხომ არა?

მურატოვი — ზუსტად არ ვიცი როდის.

ცელოვანიევა — თქვენ, ჩემო ბატონო, ნუ დასცინით ჩვენს გულუბრყვილობას.

პავლა — თავი გამანებე, დედა! ჭრილობა ხომ საშიში არ არის?

მურატოვი — პატარა რევოლვერია, ტყვიაც პაწაწინა აქვს, აისხლიტა ნეკნმა და გავიდა გვერდში. საშიში არ არის...

პავლა — მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! ვასილ პავლოვიჩ, მგონი, წედან უხეზად მოგმართეთ?

მურატოვი — ო, ნუ წუნდებით! თქვენი ქრისტიანული გრძნობები კარგად მესმის...

პავლა — არც კი მახსოვს, რა ვითხარით.

მურატოვი — არაფერია, გარწმუნებთ.

ცელოვანიევა — ძალიან გაწეწილი ხარ, პაშა...

პავლა — (ჩაიხედავს სარკეში). ვაი, ღმერთო ჩემო! რატომ აღრე არ მითხარით?

ცელოვანიევა — დრო არ მქონდა...

პავლა — მაპატიეთ. მე წავალ...

მურატოვი — კეთილი, ქალბატონო.

პავლა — მაშ მიშა მალე ადგება?

მურატოვი — არ ვიცი... ექიმმა თქვა, რომ ორგანიზმი ძალიან დასუსტებული აქვსო ლოთობითა და გარყვნილებით.

პავლა — ვაიმე, ამას რას ბრძანებთ!..

ცელოვანიევა — შენ წადი, გასწი ეს შენ არ გეხება... (მურატოვი ჯდება სავარძელში. მოიკუნტა, თავზე წაივლო ხელები და ისეთი ადამიანის გამომეტყველება აქვს, თითქოს ტყვიელები აწუხებდნენ. შემოდის სოფია. მურატოვის დანახვაზე დაღლილი სახე მოელუშება. მურატოვმა ასწია თავი, ნელა გაიმართა).

სოფია — თქვენ ალბათ დაიღალეთ?

მურატოვი — თქვენ?

სოფია — მე? ცოტათი...

მურატოვი — საჭიროა დაისვენოთ. ახლა წავალ, მაგრამ ნება მიბოძეთ ერთი კითხვა მოგცეთ?

სოფია — (ყოყმანის ვებღეგ). მკითხეთ.

მურატოვი — მინდა შევიტანო თხოვნა, რომ ვლადიკინის სატყეოში გადამიყვანონ. იცით, იქ მეტყვევებ თავი მოიკლა?..

სოფია — კი, ვიცი...

მურატოვი — მაგრამ, აქ რომ დაერჩე, შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ...

სოფია — (რალაც დაარტყა მაგიდაზე. გაღწევიანით). არა!

მურატოვი — მადროვებთ. თქვენ ბოლომდე არ მოგისმენიათ ჩემი სიტყვები. მე მინდოდა მეკითხა, ვიქონიო თუ არა იმედი, რომ თქვენი დამოკიდებულება ჩემდამი შეიცვლება?..

სოფია — თქვენი კითხვა კარგად გავიგე.

მურატოვი — (ადგა. ჩაიცინებს). შოხინმა კაცი მოჰკლა და თქვენ მას უფრო კარგად ეპყრობით, ვიდრე მე.

სოფია — (დუშილის შემდეგ). შეიძლება ასეც იყოს... ვინ არის შოხინი? ის არის პატრონისანი მხეცი. მან იფიქრა, რომ ეს მისი მოვალეობაა... ხოცოს ადამიანები, რომლებიც იპარავენ მისი პატრონის დოვლათს... მაგრამ ის მიხვდა, რაც ჩაიღინა და მთელი თავისი სიცოცხლე ამას თავის თავს არ აპატიებს. ახლა ის სხვანაირად უყურებს ადამიანებს...

მურატოვი — თქვენ სცდებით... როგორც ყოველთვის...

სოფია — თქვენს სატყეოში თქვენმა შოხინებმა შეიდი წლის განმავლობაში მოჰკლეს და დაასახიჩრეს რამდენიმე ათეული ადამიანი...

მურატოვი — მერედა, ეს არც თუ ისე ბევრია.

სოფია — თქვენ? რამდენი ჩასვით ციხეებში? რამდენი ოჯახი დაარბიეთ ერთი კონა ფიჩხისათვის? ეს დაგითვლიათ?

მურატოვი — არა, რასაკვირველია, მაგრამ რა საქმე გაქვთ თქვენ ამ სტატისტიკასთან? ქალბატონო, ეს ყოველივე რომანტიზმია! რას გვიბრძანებდით, მაშ როგორ უნდა მოვქცეოდით ქურდებს?

სოფია — არ ვიცი, მაგრამ ასე კი არა! აი, ჩვენთან ხომ არ ქურდობენ...

მურატოვი — არა! ეს ხომ ფაქტი არ არის. ეს მხოლოდ მოჩვენებითი რამ არის, როგორც ექიმი ამბობს. ისიც რომანტიკოსია.

სოფია — ბოლო უნდა მოვუღოთ ამ საუბარს. ის წამოიჭრება ხოლმე ყოველ ჩვენს შეხვედრაზე...

მურატოვი — თქვენ სულ ამაოდ მეკამათებით.

სოფია — (აღვა). მომისმინეთ, ვასილ პავლოვიჩ! დიახ, თქვენ ჩემთვის მოხიზნე უარესი ხართ. ყველა მთვრალ გლენზე უარესი ხართ. ლოთი შეიძლება აქციო ადამიანად, თქვენ კი რაღაც უიმედო ხართ... ჩემთვის ადვილი არ არის ამის თქმა...

მურატოვი — არ გიხდებათ რომანტიკოსობა, დიასახლისო!

სოფია — ძალიან ძნელია ჩემთვის ვუყურო ისეთ კაცს, როგორც თქვენ ხართ... ჭკვიანი, განათლებული, რომელსაც არა აქვს სურვილი იმუშაოს, უყვარდეს ადამიანი... ეს გვაშორებს ჩვენ ერთმანეთს. ვხედავ, როგორ დაძაბუნდით, როგორ ფუჭდებით და სხვებსაც რყენით.

მურატოვი — ხუთი წუთის წინათ ანა მარკოვანამ გონივრულად თქვა: ყველას უნდა იცხოვროს სიამითო. ეს ძალიან სწორი ნათქვამია. რა ფასი აქვს ვითომც ჩემგან გარყენილ ადამიანებს და თქვენს ძმის შეილს? მე მოვსპობ მათ თუ სხვა, თუ თვითონ თანდათანობით შესტამენ ერთიმეორეს — განა სულ ერთი არ არის?

სოფია — იყო მეფისტოფელი სამაზრო ქალაქში, ადვილი საქმეა. თქვენ ის სცადეთ, იყოთ პატიოსანი ადამიანი!

მურატოვი — კარგი ნათქვამია... მაგრამ რას ნიშნავს პატიოსანი ადამიანი?

სოფია — ჩვენ სალაპარაკო არაფერი გვაქვს.

მურატოვი — ესე იგი, არ შეგიძლიათ მიპასუხოთ? თქვენ მარტოხელა ხართ, მარტოხელა და უღონო.

სოფია — ეგ არ არის მართალი! არიან საღდაც ადამიანები, რომლებიც ცხოვრებას ისევე გრძნობენ, როგორც მე. ხომ არ შეიძლება რაიმე გამოიგონო? შეიძლება გულთან ახლოს მიიტანო მხოლოდ ის, რაც არსებობს. ცხოვრებაში, ჩემს გულში არის ნათელი... მაშასადამე, ის არსებობს ჩემს გულს გარეთაც. ჩემს გულში არის რწმენა იმი-

სა, რომ შეიძლება სხვაგვარად იცხოვრო. მაშასადამე, ის არის ადამიანებშიც. ეს კარგი რწმენაა. მე ბევრი რამ არ მესმის. ცუდი განათლება მაქვს მიღებული, მაგრამ ვგრძნობ, რომ ცხოვრება ბედნიერებაა, და ადამიანები — კარგნი არიან... თქვენ კი, ყოველთვის ცილს სწამებთ ადამიანებს. თქვენ თავსაც კი...

მურატოვი — მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობ...

სოფია — ეს ზარმაცების, პატივმოყვარეებისა და განაწყენებულითა სიმართლეა. რაღაც ბოროტი, დამპალი, სულისმღაფავი სიმართლეა!

მურატოვი — დღევანდლამდე ის უკვდავებად ითვლებოდა.

სოფია — არა, ცხოვრობს და იზრდება სხვა სიმართლე. არის სხვა რუსეთი. არა ის, რომლის სახელითაც თქვენ ლაპარაკობთ! ჩვენ უცხონი ვართ ერთმანეთისთვის. მე არა ვარ თქვენი თანამგზავრი და, იმედია, ჩვენ დავამთავრეთ საუბარი.

მურატოვი — (აიღო ბუხრიდან ქული). რას იზამ... მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაგ ახალ გზაზე კისერს მოიტეხთ... პარდონი გაანებეთ თავი მაგ ფანტაზიებს და მიიღეთ ჩემი ხელი, ხელი საინტერესო ადამიანისა, ა? (სოფია ღუმს და უცქერის. ის იხვევს კარებისაკენ). დაფიქრდით. ჩვენ წაველთ ევროპაში... პარიზში, რომელიც უფრო გასართობი ქალაქია, ვიდრე ქალაქი მიამლინი... თქვენ ახალგაზრდა ხართ, ლამაზი... ევროპაში იციან ლამაზი ქალის ფასი. რამდენი სიამოვნება გელოდებათ... მე ეჭვიანი არა ვარ... თქვენი პატარა ეშმაკობანი ჩემთვის სასიამოვნოც კი იქნება... ჩვენ საუცხოოდ გავატარებდით დროს, ა?

სოფია — (შეკრთება. ნელა, ზიზღით). წადით!..

მურატოვი — ეს მე მწყინს...

ანტიპა — (კარებში). აბა, ჩამომეცალე!..

მურატოვი — მშვიდობით!..

ანტიპა — მშვიდობით! (დას). დაიძინა მიხეილმა. კარგად ვისაუბრეთ. (დააქვრდება, შებრუნდება კარისაკენ). ისევ ის მწვანე ქაჯი დარწმუნდა რამეს. რად შეიჩვიე?

სოფია — ექვსი წლის წინათ მომწონდა.

ანტიპა — მაშინ ახალგაზრდა იყავი... წავიდე?

სოფია — დაიცა... როგორც გინდა...

ანტიპა — (მცირე ღუმილის შემდეგ). იქნებ მიხეილმა ამის შემდეგ სმას მოუკლოს? რას იტყვი, სოფია?

სოფია — რა?

ანტიპა — კეთილი! იფიქრე! იფიქრე შენზე. მე წავალ...

სოფია — რას მეკითხებოდით?



ანტიპა — მიშამ იქნება ახლა სმას მოუკლოს-მეთქი?  
სოფია — არა მგონია... თავი დაანებე იმას. მე დამითმე.  
ანტიპა — მე მზადა ვარ ყველაფერი დაგიტომო... იმას რა გუყო? პავლას?

სოფია — გაუშვი...  
ანტიპა — (ჩუმად), სად?  
სოფია — სადაც უნდა... (ანტიპა ჯდება და ღუმს. სოფია მივა მასთან).  
სხვა რა უნდა მოიფიქრო?

ანტიპა — (უკმახლ). ჩვენ წესად არა გვაქვს ცოლებს გავე-  
ყაროთ!  
სოფია — აბა სადაური ცოლია ის შენთვის? მხოლოდ უნდა  
იტანჯო მასთან.

ანტიპა — არა, ეს არ ვარგა... ჯობია, მე თვითონ წავალ. და-  
გიტოვებ ყველაფერს და წავალ... რისთვის უნდა ვიცხოვრო... ეხ... რა  
ცუდია, რომ უშვილო ხარ!

სოფია — (მოცილებდა. შკაცრად). ვინ გამათხოვა მომაკვდავზე?  
ანტიპა — მე. მერე რა? სამაგიეროდ მდიდარი ხარ, პირველი  
ქალი ხარ მახარაში. ყველა თავადზე მდიდარი. შვილები ხომ მარტო  
ქმრებისგან არ ჩნდებიან...

სოფია — რა გულკეთილი ვინმე ხარ, მაგრამ გვიანია!  
ანტიპა — ეხ, სოფია, სოფია!

სოფია — რატომ ექ? შენ არსადაც არ წახვალ! რა სისულელეა!  
ანტიპა — (ჩაფიქრებული). ჩემი თავის თვითონვე შემრცხვა. არა,  
ასე არ ვარგა! ცოდვის როდი მეშინია. სევდით ვავბეზრდი. სულ  
სევდა მიპყრობს. ასე როგორ უნდა იცხოვრო? სევდიან კაცთან ვერც  
იცხოვრებ და ვერც იმუშავებ...

სოფია — მე შენზე უფრო მეძნელება. ჩემი სევდა შენ სევდაზე  
უფრო მწარეა, მაგრამ მაინც არ ვიმალები... რომ იცოდე, რა ძნელია  
დაკარგო ადამიანისადმი პატივისცემა... ოჰ, როგორ მტკივა გული  
ამის გამო. რომ იცოდე, როგორ ვეძებდი ნამდვილ ადამიანს და რო-  
გორ მწამდა, რომ ვიპოვიდი! ვერ ვიპოვე... მაინც უნდა ვეძებო...  
ჰო...

ანტიპა — უბედურები ვართ მე და შენ, სოფია! მტრები, მტრე-  
ბი გვახვევია გარშემო.

სოფია — ჰკვიანები მაინც იყვნენ. ჰკვიანი მტერი კარგი მას-  
წავლებელია...

ანტიპა — რის მასწავლებელია?  
სოფია — წინააღმდეგობის გაწევისა. აი, ჩემი ქმარი მტერი იყო  
ჩემი, მე კი პატივს ვცემდი... ბევრი რამ მასწავლა! (მივა მასთან და

ხელს თავზე დაადგხს). აბა, კმარა! ასე დავრჩით მე და შენ მარტონი და  
უნდა ვიცხოვროთ ასე მარტო! იქნებ მოვიდნენ კარგი ადამიანები, ა?  
გვასწავლიან... ხომ არიან სადმე კარგი ადამიანები?

ანტიპა — (ჩაფიქრებული). თუ თვითონ კარგად არ გამოჩნდები,  
კარგსაც ვერ იპოვი. ეს შენი სიტყვებია...

სოფია — ჰოდა, გამოჩნდი. გაძოცოცხლდი, გაიხსენე, როდის  
ვის რა დაუთმე. დარდს აბა როდის აპყოლიხარ? ჰოდა, არ უნდა აპყვე.

ანტიპა — (აღმა. გაიმართა მხრეში. უყურებს დას, ჩაეციხება). რა  
უბრალოდ მესმის ყველაფერი! საიდან ხარ ასეთი? მოდი, გადავეხ-  
ვიოთ ერთმანეთს, ჩემი ერთადერთო... გმადლობთ. (ეხვევიან. ანტიპა  
ცრემლს ზოიწმენდს). მოდი ვიცხოვროთ, ვიკამათოთ! ეჰ, რომ იცოდე  
როგორ დავატრიალებ ახლა საქმეს; დედამიწა შეტორტმანდება...

სოფია — აი, ახლა კარგად ლაპარაკობ! ახლა წადი... მინდა,  
მარტო დავრჩე... წადი, ჩემო კარგო! მე და შენ მეგობრები ვართ და  
ეს კარგია!

ანტიპა — გაჩუმდი, თორემ ავტირდები.  
შოხინი — (კარებში). პოლიციის უფროსი მოვიდა მოწმეებით.

ანტიპა — (გაჯაგრებული). რაო? რისთვის?  
სოფია — ვინ დაუძახა?

შოხინი — ანა მარკოვანამ გაგზავნა ვასილი...  
ანტიპა — ჰოო, დამაცადოს მე იმან...

სოფია — გაჩუმდი. მე მოვაგვარებ ყველაფერს! საქმეში არ  
ჩაერიო, იქ არ გახვიდე...

ანტიპა — (უტყვის). არა, მე მას ფანჯარაში გადავისვრი ქალი-  
შვილთან ერთად...

(შოხინს ელიძება).

სოფია — შოხინ, არ გაუშვათ, გესმით? იჯექი წყნარად.  
ანტიპა — (მძვინვარებს ოთახში). პოლიციას დაუძახეს... აი მიირ-  
თვით! რას გივავს ეგ სიფათი, ჰა?

შოხინი — არაფერია.  
ანტიპა — საქმეც ეგაა. იქნებ, ფიქრობ მართლა წამოვალ შენ-  
თან ერთად! არა, უმჯობესია სხვებმა დაიხიონ უკან, მე კი ვრჩება  
ჩემს ადგილას... პოლიციით მაშინებენ! (გაჩერდება შოხინის წინ). არც  
შენ წახვალ სადმე. თავი დაანებე მაგას. ცოდვა მიგიძღვის ადამიანე-  
ბის წინაშე და ადამიანებს შორის უნდა მოინანიო იგი.

შოხინი — ახლა მეც ვრჩები... ახლა, ჩემის აზრით, არ უნდა  
წავიდე.

ანტიპა — ჰოდა, ასე... ხეტიალი სირცხვილია! აი, შეხედე

ჩვენს დიასახლისს, სოფია ივანოვნას, როგორ უჭირავს თავი? ქალი  
გი არის!

პ ა ვ ლ ა — (შემოვირდება). ანტიპ ივანოვიჩ, იქ... მოვიდნენ.

ან ტ ი პ ა — ვიცი. პოლიციაა იქ... წადი. ღმერთი იყოს შენი  
შემწე! ნუ გეშინია. ეს დედაშენმა დაუძახა პოლიციას. შენ წადი შენ-  
თვის!.. წადი...

პ ა ვ ლ ა — (შიშით). სად წავიდე?

ან ტ ი პ ა — (შემობრუნდება). ეგ შენი საქმეა... მშვიდობით!..

პ ა ვ ლ ა — მაინც სად?

ან ტ ი პ ა — დედა გეტყვის... მშვიდობით!..

(პავლა წელს მიდის. შოხინი გზას თავდახრით უთმობს. ანტიპა მიდის ტერასის  
კარისაკენ. შედგა. შუბლით მინას მიეყრდნო. შოხინმა მძიმედ ამოიოხრა).

ან ტ ი პ ა — (მოუბრუნებლად, ყრულ). მშვიდობით!

ფ ა რ დ ა